221
1929

№ 7. წელიწადი პირველი.

ფასი ყველგან 15 კაპ.

# დროშა

მარქსის სახ. საქ. საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი



ფოტო — ჟვანიასი

**სრულიად საქართველოს საბჭოთა V ყრილობის დელეგატები.**



ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერი კაპიცა, რომელი ჴ ამჟამათ სამეცნიერო მიზნით ინგლისში იმყოფება. უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ამხ. კაპიცამ გადასჭრა ატომის ბირთვის დაშლის პრობლემა. თავისი შრომებისათვის ფიზიკის დარგში კაპიცა არჩეულია ინგლისის მეცნიერებათა აკადემიის წევრად.



ბერლინის ქალაქის თვითმმართველობამ საჩუქრად მიართვა ესსახლი პროფ. **ალბერტ აინშტეინს**, მისი 56 წლის იუბილეს გამო.



**ბერნგარდ კელლერმანი**, ცნობილი გერმანელი მწერალი, რომელსაც დაბადებიდან 50 წელიწადი შეუსრულდა ამ რამდენიმე ხნის წინათ. მკითხველები კარგათ იცნობენ მის ძთელ რიგ შესანიშნავ რომანებს: „გვირაბი“, „9 ნოემბერი“ და სხვ.



**გენერალი ესკობარი**, მექსიკის მთავრობის წინააღმდეგ შავრაზმელების მიერ დაწყებული აჯანყების ერთერთი მეთაური. როგორც უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, აჯანყებულები მარცხდებიან და მათ ბანაკში განხეთქილება დაიწყო. მეამბოხეებს განზრახული აქვთ ესკობარის გადაყენება.

ავტომობილი „ოქროს ისარი“, რომლითაც ცნობილმა ინგლისელმა სპორტსმენმა **სიგრეემა** დაამყარა სისწრაფის ახალი რეკორდი: საათში შესძლო 300 კილომეტრის გავლა.



ეს ავტომობილი სპეციალურად იქნა დამზადებული ამ შეჯიბრებისათვის და რამდენიმე მილიონი მანეთი დაჯდა, ამჟამად მეორე ინგლისელი სპორტსმენი კემბელი აპირებს პირველობის წართმევას სიგრევისათვის—სისწრაფის ახალი რეკორდის დამყარებას.





ამ რამდენიმე ხნის წინათ იაპონელმა რეაქციონერმა ტოკიოში მოჰკლა მთავრობის მიერ დაშლილი პროლეტარული პარტიის „როდო ნომინტო“-ს დეპუტატი პარლამენტში—იამამოტო.

სურათზე—მარცხნივ— **იამამოტო**, მარჯვნივ—მისი მკვლელი—ფაშისტი **კუროდა**



ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის პროექტი, შედგენილი აკადემიკოს შჩუსევის მიერ (შენობა აგებული უნდა იქნეს ლენინგრადში).





კაპიტანმა **გარრისმა** (კანადა) გამოიგონა სპეციალური ტყვიები, რომლებიც კი არ კლავს არამედ [აძინებს ნადირს.

როცა ტყვია ხვდება ნადირს, ტყვიის თავში მოთავსებულ შიგნიდან ცარიელ ნემსით სხეულში შედის დამაძინებელი სითხე, რომლითაც გავსებულია ტყვია. ახალი ტყვია ზედმეტად ხდის სხვადასხვა ხაფანგების მოწყობას მხეცების დასაჭერად. სურათზე—დამაძინებელი ტყვიების გამომგონებელი კაპ. გარრისი და მის მიერ გამოგონებული დამაძინებელი ტყვიები.



არაჩვეულებრივი ნახტომი.

მხედარია მოქალაქე კემპბელი (ინგლისი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროშა

№ 7. 1929 წ. 18 აპრილი.

# შუბლმაგართა პოლიტიკის დამარცხება.

## ინგლისის მრეწველთა დელეგაცია საბჭოთა კავშირში



მრეწველთა დელეგაციის ერთი ჯგუფი.

ორი წლის წინათ ლონდონის პოლიცია ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრის ჯოინსონ ხიკსის ლოცვა-კურთხევით თავს დაესხა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობას. ორი კვირის შემდეგ ჯოინსონ ხიკსმა და მისმა კომპანიამ მიაღწია ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაწყვეტას.

ინგლისის მუშათა მასები აღშფოთებით შეხვდენ ამ ამბავს. მაგრამ არც ინგლისის მრეწველთა წრეები დარჩენ კმაყოფილი სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტით, რადგან მათ დაჰკარგეს დიდძალი საბჭოთა დაკვეთები, რომლებიც გადატანილ იქნა გერმანიაში და შეერთებულ შტატებში. ერთად-ერთი, ვინც კმაყოფილი დარჩა სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტით—ეს იყო ინგლისის ნავთის ტრესტი, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ამით აიცილებდა იაფი საბჭოთა ნავთის კონკურენციას, მაგრამ მასაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ინგლისელმა მომხმარებელმა „პატრიოტული მოსაზრებები“ საბჭოთა ნავთის სიიაფეს ანაცვალა და ჩვენი ნავთი თანდათანობით იპყრობდა ინგლისის ბაზარს. მაშინ დეტერდინგმა და კომპანიამ ხელი აიღო საბჭოთა ნავთთან ბრძოლაზე და შეთანხმება დასდო საბჭოთა ნავთით მოვაჭრე ორგანიზაციებთან.

მაგრამ მეტად ძვირი დაუჯდა ინგლისელ შუბლმაგრებს მხოლოდ ნავთის ტრესტის ინტერესებით ხელმძღვანელობა.

ინგლისის მრეწველობა გასაღების დიდ კრიზისს განიცდის. საბჭოთა კავშირთან ვაჭრობა მნიშვნელოვნათ შეანელებდა ამ კრიზისს. მაგრამ შუბლმაგრები თითქო თავს არ იტკივებენ, რომ გამოასწორონ მათ მიერ გაფუჭებული საქმე (თუმცა მათ შორისაც გაისმის, აქა-იქ, კეთილგონიერების ხმები). ამიტომ თვით ინგლისის ვაჭარ-მრეწველებმა ითავეს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება. ამჟამად საბჭოთა კავშირში იმყოფება ინგლისის მრეწველთა დელეგაცია, შემდგარი 90 კაცისაგან, რომელიც წარმოადგენს ინგლისის 500 უდიდეს ფირმას 5 მილიარდ მანეთ კაპიტალით. ინგლისის მრეწველები ეცნობიან საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის პირობებს და მათი განცხადებით—ეს პირობები სავსებით ხელისშემწყობია იმისათვის, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა ნორმალურად განვითარდეს და გაფართოვდეს.

ასე დამარცხდა ინგლისის შუბლმაგართა პოლიტიკა.

# ბავარიის კომუნა

## 1919 წ. 7 აპრილი 1929 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ე. მ.

მენშევიკები, რომლებიც თავგამოდებით მოითხოვენ საბჭოთა წყობილების გამოცხადებას.

კომუნისტები, რომლებიც ილაშქრებენ მენშევიკების ამ მოთხოვნილების წინააღმდეგ.

წარმოსადგენია ასეთი მდგომარეობა? დაუჯერებლად მოეჩვენება მკითხველს ეს ამბავი. მაგრამ ყველაფერ ამას მართლა ჰქონდა ადგილი ათი წლის წინად ბავარიაში.

დე ყველა იმათ, ვისაც კიდევ შერჩენია სოციალ-დემოკრატიის ერთგვარი ნდობა, ვინც კიდევ თვლის მათ სოციალიზმისათვის მებრძოლთა ერთ-ერთ რაზმათ, ყურადღებით შეისწავლონ 1919 წლის აპრილში ბავარიაში დატრიალებული ამბები და ისინი დაინახავენ იმ უფსკრულს, რომელშიაც დაგორდა სოციალ-დემოკრატია დარწმუნდებიან, რომ არ არის ქვეყნიერებაზე სისაძაგლე, რომელსაც დაერიდებიან ბურჟუაზიის სამსახურში შეგნებულად გადასული მენშევიკური ლიდერები.

ვინც სთქვა ა, ის უსათუოდ იტყვის ბ-საც. მენშევიკების პოზიციამ მსოფლიო ომის დროს დაამტკიცა, რომ მათ გადასწყვიტეს სერიოზულად და სამუდამოთ გადაბარგდნენ ბურჟუაზიის ბანაკში. თავის ამ გადაწყვეტილებიდან სოციალ-დემოკრატიამ ლოღიკური დასკვნა გამოიტანა თუ სამსახურია, მაშ ვიმსახუროთ თავდადებით გავხდეთ ბურჟუაზიის ერთგული კოფაკები. და სიმართლე უნდა ითქვას, სოციალ-დემოკრატია ამ თავის ახალ როლს ღირსეულად ასრულებდა. კრიტიკულ მომენტებში მფარველ-ანგელოზათ ევლინებოდა იგი ბურჟუაზიას, დგებოდა ბრძოლად ამდგარ მუშათა კლასსა და კაპიტალისტურ წყობილებას შორის და მკერდით იცავდა უკანასკნელის ურყეობას. პირველობა ამ მხრივ, ეჭვს გარეშეა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიას უნდა დაეთმოს. სოციალ-დემოკრატიის არც ერთ რაზმს არ გამოუჩენია ისეთი ოსტატობა ბურჟუაზიული წყობილების დაცვაში, როგორც კაუცკი—შეიდემან—ნოსკეს პარტიას. პროვოკატორობას ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მუშათა მოძრაობის სისხლში ჩაღრჩობას, ფაშისტური ორგანიზაციების მფარველობას და მათთან ერთად რევოლიუციონურ მოძრაობასთან ბრძოლას და ათას სხვა სისაძაგლეს მიმართავდენ მენშევიკური ბელადები, რომ კაპიტალისტური წყობილება დაეცვათ რევოლიუციონურ ქარტეხილისაგან.

ბავარიის ამბები, შესაძლოა, ყველაზე უფრო ნათელყოფონ მენშევიზმის გახრწნასა და დაცემას.

***

ეს იყო ათი წლის წინად. იმის შემდეგ, რაც ბერლინის რევოლიუციონერმა მუშებმა წააგეს ბრძოლა—დამარცხდა სპარტაკელების აჯანყება და გერმანიის მუშათა კლასის ბელადები **კარლ ლიბკნეხტი** და **როზა ლიუქსემბურგი** მენშევიების ლიდერ **შეიდემანისა** და **ნოსკეს** ლოცვაკურთხევით ვერაგულათ მოჰკლეს ფაშის მავიცრებმა, სოციალ-დემოკრატიამ ბურჟუაზიასთან ერთად გადასწყვიტა ძირფესვიანად აღმოეფხვრა კომუნიზმი გერმანიაში. გერმანიის მუშათა კლასი არაორჭოფულად ამჟღავნებდა თავის სიმპატიებს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის-დმი და აგროვებდა ძალებს გერმანიის საბჭოთა რესპუბლიკის შესაქმნელად. შეიდემან-ნოსკემ გადასწყვიტეს დაესწროთ მუშათა კლასის ამ [illegible]ის პროცესისათვის, რომ უფრო ადვილათ მოეხერხებიათ რევოლიუციის დ[ა]მარცხება. სპარტაკელების აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მენშევიკური ბელადები ტრაბახობდნენ, რომ მათ აიძულეს სპარტაკელები ნაადრევათ დ[ა]ეწყოთ ბრძოლა და ამით უზრუნველჰყვეს თავიანთი გამარჯვება.



ევგენი ლევინე

**ბავარიის კომუნისტების ბელადი, რომელიც დახვრიტეს ბავარიის კომუნის დამარცხების შემდეგ.**

აგივე მანევრი გაიმეორეს მენშევიკებმა ბავარიაში. ბავარიაში, უმთავრესად სოფლის მეურნეობის ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატი სამრეწველო ცენტრებშიც კი არ წარმოადგენს მნიშვნელოვან ძალას, სრულიად არავითარი ობიექტიური პირობები არ არსებობდა საბჭოთა წყობილების დასამყარებლად, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როცა ნოსკეს თეთრ გვარდიელთა ბანდები გამარჯვებას ზეიმობდნენ ყველგან, სადაც კი გერმანიის პროლეტარულ რევოლიუციას შეეძლო დასაყრდენის შოვნა.

კონტრ-რევოლიუციონური რესპუბლიკების ეს ტალღა ჯერ კიდევ არ მოსდებოდა ბავარიას, რომელსაც სათავეში ედგა მენშევიკებიდან და დამოუკიდებლებისაგან შემდგარი მთავრობა. ამ მთავრობას არ ჰქონდა არავითარი მტკიცე პროგრამა, ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის ისტორიკოსის პ. ვერნერის სიტყვით, ეს პოლიტიკა „არც ბურჟუაზიული იყო და არც პროლეტარული“. მის ერთ ნაწილს (მემარჯვენე მენშევიკები) ვერ დაეძლია ვერც თავისი სიმპატიები ბურჟუაზიის მიმართ და ვერც შიში მიუნხენის პროლეტარიატის წინაშე, რომელიც მას შემდეგ, რაც კონტრ-რევოლიუციონერმა გრაფმა **არკომ** მოჰკლა ბავარიის მთავრობის თავმჯდომარე კურტ ეისნერი (დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატი), კატეგორიულად მოითხოვდა სასტიკ ბრძოლას კონტრ-რევოლიუციასთან. მთავრობის მეორე ნაწილი—დამოუკიდებელი სოციალისტები, როგორც საერთოდ სჩვევია უნიადაგო ხალხს, ადგენდა სოციალური რეფორმების გრანდიოზულ გეგმებს, რომ არც ერთი მათგანი არ გაეტარებია ცხოვრებაში.

ცხადი იყო, რომ ასეთი მთავრობა ვერ დააკმაყოფილებდა ვერც მუშათა კლასსა და ვერც ბურჟუაზიას. ბურჟუაზია, რასაკვირველია, არ დაერიდებოდა ძალაუფლების წართმევას ამ უსუსური მთავრობისათვის, რომ მიუნხენის პროლეტარიატის არ შინებოდა. პირველ რიგში საჭირო იყო უკანასკნელის დასუსტება-დაუძლურება. ამ საქმეში ბურჟუაზიას ჰყავდა თანამგრძნობი და დამხმარენი მემარჯვენე მენშევიკების სახით.

და აი, დატრიალდა პროვოკაციის წისქვილი.

ის ხალხი, რომელთა ამხანაგები ბერლინში, ერფურტში, ჰალეში და სხვ. სისხლში აღრჩობდნენ რევოლიუციონურ მოძრაობას, მიუნხენის პროლეტარიატს მოევლინა საბჭოთა რესპუბლიკის მედროშეებად. მათ სწორად გამოიანგარიშეს და სპეკულიაცია გასწიეს იმ სიმპატიებზე, რომლითაც საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგი სარგებლობდა არა მარტო მუშათა კლასში, არამედ წვრილი ბურჟუაზიის წრეებშიაც, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა რუსეთის წითელმა არმიამ სასტიკად დაამარცხა თეთრგვარდიელთა ბანდები უკრაინაში და უნგრეთში საბჭოთა დროშა აფრიალდა.

მენშევიკების მიერ აუგსბურგში მოწვეულ კრებაზე პირველად დაისვა საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადების საკითხი. როგორც ირკვევა, მენშევიკურ ბელადებს უკვე ჰქონდათ მიღებული შესაფერი გადაწყვეტილება, რადგან „საიდუმლო“ თათბირზე, რომელიც მეორე დღეს გაიმართა... სამხედრო სამინისტროში, მიწვეულ კომუნისტებს განუცხადეს, რომ „საბჭოთა რესპუბლიკა დაუყონებლივ იქნება გამოცხადებული“.

კომუნისტებმა განაცხადეს, რომ ისინი პრინციპიალურად უარჰყოფენ ერთ მთავრობაში თანამშრომლობას მენშევიკებთან. უარს ამბობენ საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადებაზე, რომელიც მზადდება ფარულ კრებაზე ლურჯ ხავერდ გადაკრულ მაგიდების გარშემო. **„საბჭოთა რესპუბლიკა თვით უნდა წარმოიშვას მასების მძლავრ მოძრაობიდან“.** — (პ. ვერნერი — „ბავარიის რესპუბლიკა“).

სამხედრო მინისტრმა მენშევიკმა **შნეპპერგორსტმა** კომუნისტებს „რევოლიუციის მოღალატენი“ უწოდა.

7 აპრილს „შეთქმულებმა“ გამოაცხადეს საბჭოთა რესპუბლიკა. მთავრობა შესდგა დამოუკიდებელ სოციალისტებისა და ანარქისტებისაგან. მემარჯვენე მენშევიკები, შნეპპერგორსტი და სხვები, რომლებიც 3-4 აპრილს თავგამოდებით იცავდნენ საბჭოების იდეას, წინდახედულად არ შევიდნენ „საბჭოთა“ მთავრობაში. **კერძოთ შნეპპერგორსტი გაემგზავრა ჩრდ. ბავარიაში, ვითომდა იმ მიზნით, რომ პროპაგანდა გაეწია საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, სინამდვილეში კი იმ მიზნით, რომ ქ. ბამბერგში დროულად გადაბარგებულ გოფმანის მთავრობის დავალებით, თეთრგვარდიელთა ძალების შეკრება დაეწყო მიუნხენის პროლეტარიატის წინააღმდეგ.**

არაფერი შეცვლილა „გადატრიალების“ შემდეგ ბავარიაში: არც პროლეტარიატის შეიარაღება, არც ძველი სახელმწიფო აპარატის დან-

გრევა, არც ბურჟუაზიის ეკონომიური ბატონობის საფუძვლების მოსპობა (მრეწველობისა და ბანკების ნაციონალიზაცია.

ბურჟუაზია ხედავდა ამ ცრუ საბჭოთა მთავრობის უძლურებას, ემზადებოდა მის დასამხობად. გოფმანის მთავრობას მტკიცე საიდუმლო კავშირი ჰქონდა დამყარებული მიუნხენელ კონტრრევოლიუციონერებთან. ამავე დროს მემარჯვენე მენშევიკები, რომელთა წარმომადგენლები ოფიციალურად შედიოდნენ „საბჭოთა“ მთავრობაში, აგიტაციას ეწეოდნენ საბჭოთა წყობილების წინაალმდეგ და ამით დეზორგანიზაცია შეჰქონდათ მუშათა კლასის რიგებში. გერმანიის ცენტრალურმა მთავრობამ „საბჭოთა“ ბავარია კანონს გარეშე გამოაცხადა.

ასეთ პირობებში კომუნისტები ვერ დარჩებოდნენ ძველ პოზიციაზე. როგორადაც არ უნდა ყოფილიყო, რა მიზნებიც არ უნდა ჰქონებოდათ ახალი მთავრობის მესვეურებს, ოფიციალურად ბავარიაში არსებობდა საბჭოთა ხელისუფლება და ნოსკე-გოფმან-შნეპპერგორსტი მიუნხენის პროლეტარიატს მხოლოდ ამ საბაბით უპირებდნენ სისხლიან აბანოს მოწყობას. საჭირო იყო იმ მდგომარეობის განმარტება პროლეტარიატისათვის, რომელშიც ის იმყოფებოდა, გამოყვანა ბურუსიდან, რომელშიც ის გახვია ცრუ-საბჭოთა მთავრობამ და მომზადება იმ ბრძოლებისათვის, რომელიც ახლოვდებოდა კონტრრევოლიუციონური ძალების მობილიზაციასთან დაკავშირებით. ამ განმარტებითი კამპანიამ გააძლიერა კომუნისტების გავლენა მასებში, მაგრამ ცრუ-საბჭოთა მთავრობასაც ბევრი მომხრეები ჰყავდა. ასეთ პირობებში 9 აპრილს წარმოებებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა კრებაზე ცრუ-საბჭოთა მთავრობის გადაყენების და უკანასკნელის ფუნქციების მოქმედების კომიტეტისათვის გადაცემის შესახებ მიღებული დადგენილების განხორციელებას, უნდა მოჰყოლოდა ბრძოლა თვით მუშათა კლასის რიგებში, რაც საბედისწერო შეიქნებოდა კონტრ-რევოლიუციონური ბანდებით ალყა შემორტყმულ საბჭოთა რესპუბლიკისათვის.

13 აპრილს კონტრ-რევოლიუციონურმა ელემენტებმა მემარჯვენე მენშევიკების ხელმძღვანელობით მოახდინეს კონტრ-რევოლიუციონური გადატრიალების ცდა. „საბჭოთა“ მთავრობამ იცოდა ამ ცდის შესახებ, მაგრამ იმდენად უძლური იყო, რომ ვერავითარი ზომების მიღება ვერ შესძლო. მთავრობის წევრები ცხვრებივით ჩაუვარდა ხელში კონტრ-რევოლიუციონერებს. მაგრამ უკანასკნელთ დიდხანს არ უზეიმიათ გამარჯვება. მიუნხენის მუშებმა შეიარაღებულ ბრძოლაში დაამარცხეს თეთრგვარდიელები და 14 აპრილს შექმნეს ნამდვილი საბჭოთა მთავრობა, რომელიც იმ წამსვე შეუდგა ღონისძიებების გატარებას რევოლიუციის დასაცავად და ბურჟუაზიის ეკონომიური ბატონობის სალიკვიდაციოთ. წარმოების კონტროლი გადავიდა მუშების ხელში, მმართველობის აპარატი გადახალისებულ იქნა, მიღებულ იქნა ზომები სასურსათო საკითხის მოსაგვარებლად, შეიქნა წითელი არმია და სხვ. თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში წარმოშობილი საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენდა ნამდვილ მუშურ მთავრობას, რომელიც გრძნობდა რა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა შედარებით პატარა, წვრილ-ბურჟუაზიულ ბავარიაში, გარშემორტყმული ნოსკე-შნეპპერგორსტის შავრაზმული ბანდებით, დამოუკიდებელი სოციალისტების ინტელიგენტური მერყეობისა და მენშევიკების აშკარად მოღალატური ტაქტიკის პირობებში დასაღუპად არის განწირული, ცდილობდა ესარგებლნა თავისი ხანმოკლე არსებობით, რომ მუშათა რევოლიუციონურ აზროვნებაში დაეტოვებია ღრმა კვალი, რათა მასების შეგნებაში დაუვიწყარი ყოფილიყო საკუთარი ხელისუფლების უპირატესობის გამოცდილება, და რევოლიუციონური სიმტკიცით და ენერგიით, რომელიც შესწევს მხოლოდ ნამდვილათ მუშათა რევოლიუციონურ პარტიას, კომუნისტებს, უკანასკნელთაგან შემდგარი ნამდვილად საბჭოთა ბავარიის მთავრობა ატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნათ ისახავენ პროლეტარული დიქტატურის განმტკიცებას, მუშათა კლასის გადაქცევას გაყვლეფილ კლასიდან—სახელმწიფოს ბატონ-პატრონად და მბრძანებლად.

ამავე დროს იწყება საბჭოთა ბავარიის ერთი მუჭა წითელი არმიის გმირული ბრძოლა ბამბერგში გადაბარგებულ ბავარიის მენშევიკურ მთავრობასთან, რომელიც გარდა იმისა, რომ შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებდა პროლეტარულ დიქტატურასთან, ბავარიის მეზობლად მდებარე რესპუბლიკების—მენშევიკურ ბურჟუაზიულ „მოძმე“ მთავრობის დახმარებით ანხორციელებდა ეკონომიურ ბლოკადას ისე, რომ ჩქარა მიუნხენში მწვავე სასურსათო კრიზისი წარმოიშვა.

მიუხედავათ ყოველივე ამისა მიუნხენის პროლეტარიატი გმირულ ბრძოლას აწარმოებდა მენშევიკურ-ბურჟუაზიულ ბანდებთან და განდევნა ისინი მთელ რიგ პუნქტებიდან.

მაგრამ კოალიციაში, რომელიც შესდგებოდა კომუნისტებიდან, ანარქისტებიდან და დამოუკიდებელი სოციალისტებიდან, დაიწყო უთანხმოება. დამოუკიდებელ სოციალისტებს საერთოდ აშინებდა ყოველგვარი პრაქტიკული ნაბიჯი, რომელიც მათ მკვდარ დოგმებს არ შეეფერებოდა. მათ გამოააშკარავეს თავიანთი ინტელიგენტური წვრილ-ბურჟუაზიული ბუნება. კომუნისტებს აუარებელი დრო და ენერგია ეხარჯებოდა, რომ დაეძლიათ მათი ცუდი საბოტაჟი. ანარქისტები ერნსტ ტოლერის ხელმძღვანელობით საერთოდ უკმაყოფილონი იყვნენ, რომ 14 აპრილის კომუნისტურმა გადატრიალებამ ლიკვიდაცია უყო მათ მბრძანებლობას მიუნხენის პროლეტარულ ორგანოებში. ეს ნაწყენი ხალხი—დამოუკიდებელი სოციალისტები და ანარქისტები—შეუდგა კამპანიას კომპარტიის წინააღმდეგ, რომელსაც აბრალებდნენ მიუნხენის პროლეტარიატის წინაშე წარმოშობილ ყველა დაბრკოლებებს. მათ მიმართეს საშინელ დემაგოგიას, რომელიც ნამდვილი ინტერნაციონალისტის პირში რაღაც უცნაურ რამეს წარმოადგენს. სახელდობრ ისინი სჩიოდნენ „უცხოელების“ დიქტატურაზე ბავარიაში და ამ „უცხოელებში“ გულისხმობდნენ არა მარტო ტყვეობიდან განთავისუფლებულ რუსეთის მოქალაქეებს, არამედ პრუსიელებს და საქსონელებს (იმავ გერმანელებს), რომლებიც იარაღით იბრძოდნენ საბჭოთა ბავარიის დასაცავად.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ შავრაზმულმა და კონტრ-რევოლიუციონურმა აგიტაციამ გამოძახილი ჰპოვა პროლეტარიატის ჩამორჩენილ ფენებში. 27 აპრილს კომუნისტებისაგან შემდგარი მთავრობა, ამ აგიტაციის წყალობით, შეცვლილ იქნა მუშათა საბჭოების მიერ შედგენილი მთავრობით, რომელშიც მბრძანებელ როლს დამოუკიდებელი სოციალისტები და ანარქისტები თამაშობდნენ.

წითელი არმია დარჩა კომუნისტების ხელში, იგი განაგრძობდა გმირულ ბრძოლას თეთრგვარდიელთა ბანდებთან, მაგრამ პროლეტარული დიქტატურის აგონია უკვე იწყებოდა, რადგან ახალი მთავრობა თავისი უილაჯობით თვით უწყობდა ხელს აღსასრულის დასაწყისს.

29—30 აპრილს ბამბერგის კონტრ-რევოლიუციონური მთავრობის ჯარები გადავიდნენ გადამწყვეტ შეტევაზე და 1-ლ მაისს, პროლეტარიატის დიად საერთაშორისო დღეს, მიუნხენის ქუჩები შეიღება მუშების სისხლით—მენშევიკური თეთრი გვარდია გაუსწორდა მუშებს თავისი დიქტატურის დამყარების ცდისათვის.

„პატარა ნოსკემ“—შნეპპერგორსტმა მიაღწია მიზანს: პროვოკაციული გზით მან შესძლო მიუნხენის პროლეტარიატის ნაადრევად გამოყვანა ბრძოლაში, რომ სისხლში ჩაეღრჩო იგი.

ე. მ.

# მოსკოვის პლანეტარი




მოსკოვის პლანეტარის გეგმა, შედგენილი ცეისის ფირმის მიერ (იხ. „დროშა“ № 4, წერილი „ზეცა ოთახში“)

# სამოქალაქო მშენებლობის საკითხები ჩვენში

 შ. დუდუჩავა

ისტორიულათ ცნობილია ის ფაქტი, რომ ხუროთმოძღვრება ყველა პერიოდებში ასრულებდა მასებზე კულტურული ზემოქმედების ფაქტორის ამოცანას; არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს აგრეთვე ის გარემოება, რომ გოთურ ეპოქაში ხუროთმოძღვრული ფორმე-



საქართველოს მუზეუმი. წინა ფასადი დეკორატიული და ფუნქციონალური არკებით, ქართული მონასტრების „დოქებით“ და მოდერნიზაციაქმნილი კარნიზით.

ბის გამომუშავება მიზნათ ისიხავდა რელიგიური გრძნობების გაღრმავებასა და გაფართოებას. ანალოგიური იყო ხუროთმოძღვრების ამოცანა ამპირის, აღორძინების და ფეოდალურ-არისტოკრატიულ დაცემის როკოკოსა და ბაროკოს ხანაშიაც. სოციალისტურ მშენებლობის ეპოქაში კი ხუროთმოძღვრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: ახალი შენობა ძეგლია ახალი ეპოქის; ამ ძეგლში მოცემულ უნდა იყვეს ყველა ის ძირითადი ტენდენციები, რაც ახასიათებს სოციალისტურ მეურნეობას და ახალ-ყოფა-ცხოვრებას; ამავე დროს ახალი შენობა, რომელიც იტევს სოციალისტური ეპოქის ძირითად ტონს, ხასიათს, —უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთ უძლიერეს საშუალებას კომუნიზმის პროპაგანდისათვის. ჩვენში ეს ელემენტარული ამბავი ხშირად მივიწყებას ეძლევა, რის შედეგათ ვღებულობთ აჭრელებულ ფასადებს სამღვდელოებისა (საეკლესიო) და მემამულეების სტილის ხაზებში. იმის მაგივრათ, რომ ხუროთმოძღვრებამ ასახოს მასების შემოქმედებითი პათოსი, გააღვივოს მასში ბრძოლის ნებისყოფითი მოტივები ახალი ცხოვრებისათვის და ამავე დროს შექმნას მასაში ესთეტიური კულტურა, ჩვენს ხუროთმოძღვრებას შეუძლია მხოლოდ გააღიზიანოს მასები და გაანოყიეროს ნიადაგი არქაულ გემოვნებისათვის



საქართველოს მუზეუმი. მთავარი კარები გაკეთებული ჯვრის გეგმით.

ოქტომბრის რევოლიუციამ მოსპო კერძო საკუთრების ინსტიტუტი. საბჭოთა არქიტექტურის წინაშე გაშლილია გრანდიოზული პერსპექტივები ქალაქებისა და დასახლებულ პუნქტების ახალი დაგეგმვისათვის; შექმნილია აგრეთვე ობიექტიური შესაძლებლობა ახალი არქიტექტურის სტანდარტებისათვის, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს მუშათა კლასის კოლექტიურ მოთხოვნილებას, ნაცვლათ იმ ვიწრო-სალონური ხასიათის ინდივიდუალისტურ ამოცანებისა, რომელსაც ჰკარნახობდა რევოლიუციის წინა ხანაში ბურჟუაზიული დამკვეთელი. სოციალისტურ წყობილების პირობები ყოველი ახალი შენობა— კლუბი, ფაბრიკა, საავადმყოფო თუ საცხოვრებელი სახლი—უნდა წარმოადგენდეს გარკვეულ სისტემას, გარკვეულ არქიტექტურულ გარსს საწარმოო და ყოფითი პროცესებისას. აქედან დებულება: ახალი არქიტექტურული ფორმა შეუძლებელია ახალი ეკონომიკისა და ახალი ყოფითი--ურთიერთობის გარეშე. რასაკვირველია ეს საშუალოდაც არ ნიშნავს, რომ ნამდვილ სოციალისტურ შენობას მანამდის ვერ მივიღებთ, სანამდის არ შეიქმნება ახალი ყოფა-ცხოვრება. აქ ლაპარაკია მხოლოდ ტენდენციებზე და არა დამთავრებულ ფორმებზე. უდაოა ის, რომ არქიტექტურა თითონ აქტიურ მონაწილეობას უნდა ღებულობდეს ახალი ყოფა-ცხოვრების ჩამოყალიბების პროცესში. მაგალითისათვის, საკმარისია დავასახელოთ ი'ა შესაძლებლობა, რომელიც თეორეტიულათ აქვს არქიტექტურას, თუ გნებავთ სამზარეულოს აგების საკითხში. ახალი ყოფა-ცხოვრება მოითხოვს ქალის თანდათანობით და საბოლოო ა-ში სრულიად განთავისუფლებას ოჯახური კარჩაკეტილობიდან. მაგრამ რას იზამს განთავისუფლებული ქალი, თუ ის სამზარეულოსთან ისეა მიმაგრებული, რომ დრო აღარ რჩება საზოგადოებრივი მუშაობისათვის. აქედან ამოცანა საბჭოთა ხუროთმოძღვრებისათვის: აიგოს სამზარეულო ისე, რომ ქალი არ იქნეს ზედ მიჯაჭვული. ეს კი უკვე არის ყოფა-ცხოვრების ერთერთი მთავარი პრობლემის არქიტექტურული გადაჭრა. ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბჭოთა არქიტექტურას არ შეუძლია წავიდეს „გამამშვენიერებელ“ ხელოვნების გზით, რითაც ხასიათდებოდა რევოლიუციის წინა დროის სამოქალაქო მშენებლობა. მაგრამ მას არ შეუძლია პრინციპიალურათ უარყოს დეკორატიული მოტივები გარეგან ფასადზე, როგორც ამას სჩადის ამერიკული ხელოვნება, როგორც ფაბრიკულ ისე სამოქალაქო მშენებლობაში. ახალი სტილი უნდა იქნეს ორგანიული, რომელშიც ყოველი დეკორატიული მოტივი ფუნქციონალურათ უნდა იყვეს გამართლებული; ესე იგი ყოველი ხაზი შინაგანი და გარეგანი დეკორატიული მორთულობისა უნდა ასრულებდეს რაიმე ფუნქციას, რაიმე ამოცანას შენობის მთლიან კომპოზიციაში. ძნელია საჟურნალო სტატიაში და წერილობითი განხილვა იმ გზების, რომლითაც უნდა წავიდეს



ახალი სახლი რუსთაველის პროსპექტზე. წინა და მარცხენა ფასადები. ვერტიკალურათ და ჰორიზონტალურათ განლაგებულ ფანჯრების შეხვედრა.

ახალი სტილის შექმნის პროცესი. მაგრამ აუცილებლათ აღსანიშნავია აქ ის, რომ ახალი სტილი უნდა ემყარებოდეს ადგილობრივ კლიმატიურ მდგომარეობას და აგრეთვე ადგილობრივ მშენებლობითი მასალას; მაგრამ მიმართულება ამ მასალის, მისი დამუშავების ფორმები უნდა ხდებოდეს იმ საზოგადოებრივი იდეოლოგიის თვალსაზრისით, რომელიც გაბატონებულია პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში; ამ რიგად: იდეოლოგია, კლიმატიური პირობები, ადგილობრივი მშენებლობის მასალა,—აი ის სამი ელემენტი, რომელიც განსაზღვრავს ახალი სტილის შექმნის პრობლემას სამოქალაქო მშენებლობაში.

აქ არც ერთს ამ ელემენტს არ აკმაყოფილებს ის შენობები, რომელიც გვაქვს ჩვენ აქ—თბილისში. განხილვის გარეშე ვტოვებ ყველა იმ საბინაო სახლებს, რომელიც მუშებისათვის იყო განზრახული. არა ერთხელ ითქვა სამართლიანათ, რომ ამ სახლებმა რეკორდი გაარტყეს ყოველგვარი უგემურობის და წმინდა ინჟენერული თვალსაზრისით ელემენტარულ კრიტიკასაც ვერ უძლებენ (სიბნელე, სივიწროვე და სხ.) ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ორი საპასუხისმგებლო საზოგადოებრივი შენობა: საქართველოს მუზეუმი და რუსთაველის პროსპექტზე № 36-ში აგებული სახლი. პირველის პროექტის ავტორი და უშუალო ხელმძღვანელი მშენებლობისა—არის ნ. პ. სევეროვი—სამოქალაქო ინჟენერი. სევეროვმა პირველმა სცადა დაესახა ახალი გზები ქართული სტილის გამომუშავებაში და ეს ცდა მოცემულია ზედა კარნიზში, რომლითაც დამთავრებულია მთელი შენობა. კარნიზის მოდერნიზაცია მოცემულია პარაპეტის გამოყენების ხაზით, სადაც შეტანილია სტალაქციტების მოტივი. მთელი წინა ფასადი გაყოფილია არკებით. არკატურის პრობლემა გადაჭრილია ნაწილობრივ ფუნქციონალურათ, (საშუალო არკა) ნაწილობრივ დეკორატიულათ (ყალბი არკები). არკების გამშვენიერება მოცემულია მცენარეული ორნამენტების ხაზებში. მცენარეული მოტივები, როგორც სპეციფიური ნიშანი ქართული საეკლესიო სტილისა—შედეგია ჩვენში არაბული გავლენისა, თუმცა პირველი ავტორნი მცენარეული მოტივებისა არიან ეგვიპტელები, მაგრამ რადგანაც ყურანი არაბებს უკრძალავდა ადამიანის ფიგურის გამოსახავს ორნამენტებში, ამიტომაც მათ ყურანით დაასაბუთეს ის, რაც შექმნეს ეგვიპტელებმა: ორნამენტების მცენარეული მოტივი—აუცილებლათ დიდ გაუგებრობას იწვევს „დეკორატიული დოქები“, რომლითაც დამახინჯებულია წინა ფასადი: ერთი რომ, არავითარი ესთეტიური აზრი არა აქვს ამ „დოქებს“, მეორე, ეს მოტივი ისტორიულათ წარმოადგენდა ქართული მონასტრების კაპიტელის დეკორატიულ ნაწილს. ამასთან სავსებით „შეხმატკბილებულია“ მთავარი კარები, რომელიც საეკლესიო ჯვარის გეგმით არის გაკეთებული. ერთი სიტყვით საბჭოთა სახლი მოცემულია მთელი ასი პროცენტით საეკლესიო სტილის ხაზებში. ამაზე შორს ისტორიული კურიოზი არას დროს არ წასულა. ეს შედეგია იმ „გატაცების“ რომელიც ახასიათებს ზოგიერთებს ქართული სტილის მიმართ. ქვედა სართული მუზეუმისა გაკეთებულია რენესანსის ყაიდაზე. აბსოლიუტურათ გაუმართლებელია შენობის მარცხენა მხარეზე ორნამენტალური ლაქები, რომლებსაც სრულიადაც არ თხოულობს არც „დეკორატიული“ არც „ფუნქციონალური“ მოსაზრებები. ამ ლაქებს შეაქვთ დისონანსი, რითაც ირღვევა ის მხატვრული სიმარტივე, რომელსაც ეგზომ საჭიროებდა განსაკუთრებით შენობის მარცხენა ნაწილი.

რუსთაველის პროსპ. № 36-ში აგებულ სახლში მიცემულია ცდა კონსტრუქტივიზმის პრინციპების გამოყენების სამოქალაქო მშენებლობაში. კონსტრუქტივიზმი თხოულობს, რომ ყოველი ნაწილი შენობის რაიმე ფუნქციონალ ამოცანას ასრულებდეს, რომ მთელი შენობა იყვეს მარტივი და მოსახერხებელი; უარყოფილია დეკორატიული მოტივები და მთელი მასალა დამუშაებულია ხაზურ-მათემატიკურათ. მაგრამ ამ შენობაში კონსტრუქტივიზმი ბოლომდის შენარჩუნებული არ არის. პირველი რაც გხვდებათ თვალში—ეს არის რიტმისა და ჰარმონიის გრძნობის დაკარგვა, რის შედეგათ ჩვენ ვღებულობთ შთაბეჭდილებას ორი დამოუკიდებელი შენობისას. ამ შთაბეჭდილებას ხელს უწყობს ფანჯრების ჰორიზონტალურ ხაზის (წინა ფასადი) შეხვედრა ვერტიკალურ ხაზთან (მარცხენა ნაწილი), და აგრეთვე შენობის მარცხენა მაღალი ნაწილის რომელსაც შეაქვს დისონანსი (იმ შემთხვევაშიც კი თუ ის ლიფტისათვის არის განზრახული) მთელ კონსტრუქციაში უარყოფილია დეკორატიული მართლობა. ერთგვარ „დეკორატიულ“ როლს თამაშობენ დიდი ფანჯრები, რომელიც ჰქმნის დიდი, უნივერსალური სავაჭრო სახლის შთაბეჭდილებას. თითქოს ფიქრობთ რომ ამ დიდ ფანჯარაში უნდა გამოდგან ქალთა ტანთსაცმელის მანეკენები. დიდი შეცდომაა ასეთი დიდი ფანჯრების გაკეთება, ვინაიდან ის ვერ უძლებს სამხრეთის ცხელს ჰავას: ზამთარში ასეთი შენობაში არის დიდი სიცივე, ხოლო ზაფხულში აუტანელისიცხე.

ამასთანავე აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ მათემატიკურ—ხაზური ორგანიზაცია მასალის გამოწვეულია რკინა-ბეტონის კონსტრუქციით. ჩვენი საამშენებლო მასალა კი (ქვა და აგური) თხოულობს სულ სხვა კონსტრუქციას, წინაალმდეგ შემთხვევაში კონსტრუქტივიზმის ფუნქციონალიზმი შეუძლებელი იქნება. ეს შენობა წარმოადგენს ერთგვარ პროტესტს ქართული საეკლესიო სტილით და დეკორტიულ მოტივებით გატაცების წინაალმდეგ.

საჭიროა გასაბჭოება ჩვენი არქიტექტურის. საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა საეკლესიო მოტივების აღდგენის წინაალმდეგ. ყოველი პროექტი განხილულ უნდა იქნეს საჯაროთ, ამასთანავე აუცილებელია არა მარტო ხაზური პროექტი, არამედ კიდევ მაკეტები. არქიტექტურული საზოგადოებრიობის შექმნას დიდათ შეუწყობს ხელს ხუროთმოძღვართა საზოგადოების დაარსება. პარალელურათ მასთან უნდა მოხდეს დიფერენციაცია ჩვენი ხუროთმოძღვრების.

**შ. დუდუჩავა.**

# ლენინის დროშით



სარეწაო კოოპერაციის სახლში „კლასსენკამპფ“ (ქ. გალლე, გერმანია) ამ რამდენიმე ხნის წინათ მოეწყო ლენინის კუთხე. ამ სახლშია მოთავსებული კომპარტიის შუა-გერმანიის ორგანოს სტამბა.

სურათზე—ლენინის კუთხე სარეწაო კოოპერაციის სახლი, ქ. გალლეში.

# რულეტკის სამთავრო



18,6 კვ. კილომეტრი სივრცე, 23.418 მცხოვრებით, საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში. ეს არის მონაკოს სამთავრო. კონსტიტუციონური მემკვიდრეობით მონარქია. მეფობს იქ ლუი (ლიუდოვიკ) II. მონაკო ცნობილია თავისი აზარტული სათამაშოებით—რულეტკით, სადაც სხვადასხვა ჯურის უსაქმურნი და ავანტიურისტები სტოვებენ თავიანთ ნაძარცვს. რულეტკა იჯარით არის გაცემული 50 წლის ვადით, 1947 წლამდე. რულეტკის შემოსავლით ცხოვრობს მონაკოს მთავარი. იყო ის ამდენ ხანს მისთვის, იჯიბავდა ამ შემოსავალს და ცხოვრობდა განცხრომით. მაგრამ მუსოლინის „სახელი“ მას, როგორც ჩანს, მოსვენებას არ აძლევდა და მანაც განიზრახა დიქტატორი გამხდარიყო. ამან გამოიწვია ოპერეტული „რევოლიუცია“: ქვეშევრდომები საკანონმდებლო საბჭოს წევრების მეთაურობით მთავარს სასახლეში შეუვარდნენ და აიძულეს პირობა დაედვა, რომ კონსტიტუციას მტკიცედ დაიცავდა. ასე გათავდა ფაშისტური გადატრიალების ცდა და „რევოლიუცია“ რულეტკის სამთავროში.

სურათზე—მონაკოს მთავარი **ლუი II**

# ცოდვილი მატარებელი

## ჰანრი ბარბიუსი

### წიგნიდან „Histoires vraies“

1917 წელს 11 დეკემბრის ღამეს ფრანგულ ქალაქ მოდანის სადგურში ხალხი ბუზივით ირეოდა. ეს ქალაქი იტალიის საზღვართან მდებარეობს.

მგზავრები, ლანდებივით რომ მიდი-მოდიოდნენ ბაქანზე და სადგურის დარბაზში, გასაოცრად მიაგავდნენ ერთი მეორეს. ჩაცმული იყვნენ გლახაკებივით, საცოდავად, და ყველა ერთგვარად. უმეტესობა ავადმყოფის შთაბეჭდილებას სტოვებდა. იმათაც კი, ვინც უფრო ცოცხალი და მარჯვე იყო, ჭუჭყი და დაღლილობა გადაკვროდა სახეზე. და მხოლოდ თითო ოროლა მიაგავდა ჩვეულებრივ ადამიანს.

ეს ერთფეროვანი აჩრდილები დაეხეტებოდენ აქეთ-იქით ქვის ფილაქანზე, ანდა ისხდნენ პირდაპირ იატაკზე. სადგურის მკვეთრ სინათლეზე გამოიყურებოდნენ ეს უცნაური, თითქოს ორად გაყოფილი მათი ნაკვთები—ნახევრად თეთრი, ნახევრად შავი. ზოგი მათგანის სახე მიაგავდა შავ ნახვრეტს, ზოგის—ანთებულ თიხის ქრაქს.

მაგრამ ყველა მათგანს ბედნიერი გამომეტყველება ჰქონდა. ზოგი ხმამაღლა ლაპარაკობდა, ზოგი—მღეროდა. ის, ვინც უფრო ცხვირდაშვებული იჯდა, ისიც კი თავს ირთობდა სტვენით.

ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ეს უბედურები, ბედნიერად რომ სთვლიდენ თავს—შვებულებაში მიმავალი ჯარის კაცები იყვნენ. ეს იყვნენ ფრანგი ჯარის კაცები იტალიის ბრძოლის ველიდან, პიავეს ომის შემდეგ, შინ მივლინებული ცოტა ხნით დასასვენებლად.

პიავე! ათი წლის განმავლობაში ამ სიტყვამ დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა, თავისი ძლიერება და, ვიტყვი კიდეც,—თავისი გემოვნებაც, ვინაიდან ათი წელი ჰქმნის ხალხის მეხსიერებაში დიდ სიცალიერეს.

იმ დროს ეს სიტყვა ნიშნავდა გამძაფრებულ და დამასუსტებელ შეტევას, გაგიჟებულ და უგუნურ ბრძოლას სხვა ჯარის კაცებთან, რომლებიც სხვა ჯურის კაცთ-მფლობელთა უფლების ქვეშ იმყოფებოდენ. ის ჯარის კაცნი, თავის მხრივ, ასრულებდენ მას, რაც ნაბრძანები ჰქონდათ და მათი მჭიდროდ შეჯგუფული გროვა მიაბიჯებდა, გაიშლებოდა საბანაკოდ, ისევ მიაბიჯებდა, მირბოდა, ისროდა, ჰვარდებოდა გავარვარებულ ბრძოლის ცეცხლში, დნებოდა იქ—და დღითი დღე მცირდებოდა. გადაჭრით შეიძლება ითქვას: ყველა მათგანმა თვითეულლობით მოისპო სიცოცხლე და მხოლოდ თითო ოროლა იქნა მოკლული. ბოლოს და ბოლოს, წარმოუდგენელი დანაკლისის გამო, ჯარი იძულებული გახდა უკან დაეხია, ძველ ხაზზე. დასასვენებლად გაშვებულ ჯარის კაცებს ეხლა კი მოსწონდათ საუბარი უკანასკნელ ლაშქრობის შესახებ და, ბავშებივით თავს ირთობდნენ მოგონებით.

ეხლა ისინი შორს იყვნენ პიავედგან, ეხლა ისინი უკვე საფრანგეთში იყვნენ და მათ ყურამდე ვერ მოაღწევდა ის საზეიმო ხმაური, რომელსაც ჰკვებავდა და ხელს უწყობდა მათი გმირული თავდადება. ეხლა ისინი მოელოდენ მატარებელს საზღვართან მდებარე მოდანის სადგურზე, სადაც, ამ დრომდე კიდევ, განვლილი ათი წლის შემდეგ, მაინც არა ხარ დარწმუნებული, რომ არ გახდები უეცარი მოწამე ჯარის ხელახალი გადაყვან-გადმოყვანისა.

და აი გამოჩნდა კეთილი მეგობარი—გუგუნა მატარებელი. ვაგონები ჩამწკრივდნენ რკინის გზის ლიანდაგზე ბაქანის გასწვრივ. ჯარის კაცები შეცვივდნენ შიგ, მოიკალათეს კუთხეებში. ვაგონები გაივსო, გაიჭედა ომის კატორღიდან გამოქცეულ ადამიანებით, რომელნიც უკვე თავისუფალ არსებად იქცნენ და მიისწრაფოდენ არა მხოლოდ გულით, მთელი თავისი არსებით საკუთარი ოჯახისკენ.

გამგზავრება, რაღაც მიზეზის გამო, გვიანდებოდა. მემანქანე, ორთქლმავალიდან ბაქანაზე ჩამოსულიყო და თითქოს კამათობდა.

იგი მიჰმართავდა ვილაც წარჩინებულ პირთ, ოქრომკედის ჩაფარიშით რომ მორთული იყვნენ და ჰბედავდა არ დასთანხმებოდა მათ. ეუბნებოდა:

— წასვლა შეუძლებელია.

ამ სიტყვებმა მოთმინებიდან გამოიყვანეს კეთილშობილი ოფიცრები.



ჰანრი ბარბიუსი

— შეუძლებელია? და ამის თქმას ჰბედავს ფრანგი! განა არ იცით, თქვენ მხდალო, რომ სიტყვა „შეუძლებელია“ არ არსებობს ფრანგულ ენაზე?

მემანქანემ უბრალოდ უპასუხა:

— მატარებელი მეტად მძიმეა.

იგი უხსნიდა, იმ იმედით, რომ შეიძლება, მათ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ იმ გზისა, სადაც მატარებელს უნდა გაევლო, რომ ეს გზა ჯოჯოხეთურად უსწორ-მოსწორია: დაკლაკნილი, ციცაბო კლდიანი. ის ვერ ბედავდა გასდგომოდა ასეთ გზას ამ მეტის მეტად დატვირთული მატარებლით, ვინაიდან არ ქონდა იმედი გაქანებული მატარებლის შეჩერებისა.

უფროსებმა, მართალია, იცოდნენ გზის მოხაზულობა,—დასაქანი დაღმართი ალპებიდან, მაგრამ აქ იყო პრინციპის საკითხი, რაც ყველაზე მაღლა იდგა: უფროსთა ბრძანება შეურყეველია და კეთილ გონიერი სჯა და დასაბუთება უაზროა ამ გარდაუვალ კანონების წინ: ბრძანება. რომ გზას გასდგომოდნენ, უკვე გაცემული იყო.

რა გვარად არ მეტყველებდა პატარა, შავგვრემანი კაცი, რანაირად არ იცავდა იგი სიმართლეს, როგორ არწმუნებდა, ასაბუთებდა, რომ ორთქლმავალი თავისი ვაგონებით შესაძლოა გადაიჩეხოს უფსკრულში,—უფროსები, ოქრომკედის ჩაფარიშით მორთულნი, სადგურის სინათლეზე რომ ჰბზინავდნენ, მაინც თავისაზე იდგენ: „საჭიროა გამგზავრება, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს“.

ჯარის კაცები კი ვაგონებში უკვე ღელავდნენ, იხედებოდნენ სარკმელებში და ჰკითხულობდნენ: „რატომ არ მივდივართ“?

მაგრამ გონიერი შიში, რომელმაც შეიპყრო მემანქანე იმდენად ძლიერი იყო, რომ მან წასვლაზე უარი განაცხადა.

უფროსებმა უპასუხეს ბრძანებით. მაშინ მან დაიჭირა თავისი ადგილი ორთქლმავალზე და დამორჩილდა. მატარებელი დაიძრა და დასტოვა სადგური.

მაგრამ, მალე, ბუნების კანონის ძალით, იგი დაქანდა თავდაღმართზე. მართლა და მეტად მძიმე იყო იგი და არა იმდენად ძლიერი, რომ შეეჩერებინა მისი წინსვლა. ორთქლიც, მემანქანეც უძლური იყვნენ ამ შემთხვევაში: უძლეველი

# ახალი ექსპედიცია ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ.



მომავალი წლისათვის განზრახულია ახალი ექსპედიციის მოწყობა ჩრდ. პოლიუსისაკენ დირიჟაბლით „LZ—127“, რომელიც შარშან ევროპიდან ამერიკაში გადაფრინდა და უკან დაბრუნდა. ამჟამად მიმდინარეობს მზადება დირიჟაბლის მისაბმელი ანძების მოსაწყობად გადაფრენის გზაზე. ერთი ასეთი ანძა მოეწყობა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

სურათზე - საბჭოთა და უცხოელ მეცნიერთა ჯგუფი კოლის ყურეში (მურმანსკთან) ათვალიერებს მისაბმელი ანძის მოსაწყობ ადგილს.

# ყალბი დოკუმენტების ფაბრიკანტები

ჭორებსა და ცილისწამებას ბრძოლაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საპატიო ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის ყველა მტრების არსენალში.



ერთ-ერთი თეთრგვარდიელი ბანდიტი, ყალბი დოკუმენტების დამმზადებელი **სუმაროკოვი.** მარცხნივ — მისი ნამდვილი სურათი, მარჯვნივ — იგივე სუმაროკოვი, რომელიც ბერლინის პოლიციის დახმარებით „მოქ. **პავლოვსკი**“ გახდა.

გამარჯვებული მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ყველაზე უფრო შეურიგებელი მტრები ცდილობენ კიდევ უფრო დააფრთხონ თავიანთ სახელმწიფოების მუშების გაფიცვებით და დემონსტრაციებით ისედაც გარეტიანებული ბურჟუა. ამისათვის ისინი თხზავენ ჭორებს, რომ კომინტერნი გემებით გზავნის ოქროებს ინგლისში, რომ იქ სოციალისტური რევოლიუცია მოახდინოს, რომ მოსკოვის აგენტები აწყობენ აფეთქებას და სხვ. ამ მუშაობაში სხვადასხვა ქვეყნების შუბლთაგრებს იხურვალე დახმარებას უწევენ რუსი თეთრგვარდიელები და ათასი ჯურის საერთაშორისო ავანტიურისტები, რომლებმაც შემოსავლის წყაროთ გაიხადეს ყალბი საბჭოთა დოკუმენტებით ვაჭრობა.

„ზინოვიევის“ ცნობილმა წერილმა, რომლის წყალობითაც კონსერვატორებმა მოახერხეს მუშათა პარტიის დამარცხება უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში, დაამტკიცა რომ ქვეყნიერებაზე მრავლად მოიპოვებიან გულუბრყვილონი, რომელთაც სჯერათ ამგვარი „საბუთების“. ამის გამო ყალბი დოკუმენტების ფასი საერთაშორისო ბაზარზე საგრძნობათ გაიზარდა და ყველგან ყალბი დოკუმენტების ფაბრიკები სრული დატვირთვით ამუშავდნენ.

ახლა უკვე გამორკვეულია, რომ ამგვარი პატარა ფაბრიკები მოწყობილი იყო ევროპის მთელ რიგ ცენტრებში. მაგრამ მთავარი ფაბრიკა არსებობდა ბერლინში, სადაც ყალბი დოკუმენტების დამმზადებლები მშვენივრად გრძნობდენ თავს მენშევიკურ მინისტრებისა და მენშევიკ პოლიცმეისტრების ფრთებ ქვეშ. როგორც ჩანს, მენშევიკური ლიდერები არაფერ სამარცხვინოს არ ხედავდენ იმაში, რომ მფარველობას უწევდნენ აშკარა შანტაჟისტებს და ბოროტმოქმედთ. ამ მფარველობით გათამამებული ავანტიურისტები იქამდისაც კი მივიდნენ, რომ აშკარად ვაჭრობდნენ ყალბი დოკუმენტებით. ბერლინში გრიალებდა ამ თავისებურ „ბეჭდვითი სიტყვის“ მუშაკების. მთელი ბანდა: გუმანსკი, დრუჟელოვსკი, ორლოვი, სუმაროკოვი და მრავალი სხვანი. აქ დაამზადეს „ზინოვიევის წერილი“, დოკუმენტები, რომლებსაც უნდა დაემტკიცებია „მოსკოვის ხელის“ მუშაობა ინგლისში, დოკუმენტები, რომლებიც „ამტკიცებენ“, რომ საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრე ამერიკელი სენატორები ბორა და ნორისი მოსყიდულია მოსკოვის ბოლშევიკური მთავრობის მიერ და სხვა ამგვარი აბდა-უბდა.

მაგრამ უბრალო წინდაუხედაობამ დაღუპა „ფაბრიკანტები“. ისინი დარწმუნებული იყვნენ რომ ყოველი ამერიკელი ჟურნალისტი არის განსახიერება გამყიდველობის და მისი შეხედულებები ზნეობაზე დოლარების რაოდენობის მიხედვით იცვლება. „ჩიკაგო ტრიბუნი“-ს ყოფილმა მოსკოველმა კორესპონდენტმა სელდსმა,



**სახლი ბერლინში, სადაც მოწყობილი იყო ყალბი დოკუმენტების ფაბრიკა.**

რომელიც ბოროტად იყენებდა თავის მდგომარეობას და ამერიკული კომიტეტის ფოსტით გზავნიდა ჯაშუშურ ცნობებს წითელი არმიის შესახებ, ყალბი დოკუმენტების ფაბრიკანტებში კიდევ უფრო განამტკიცა ეს აზრი, როცა დრუჟელოვსკის კომპანიისგან შეიძინა დოკუმენტი, რომელსაც უნდა დაემტკიცებია „მოსკოვის პროპაგანდა შეერთებული შტატებში, (როგორც მკითხველებს ემახსოვრება, შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრი იუზი ამ დოკუმენტზე ეყრდნობოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრების დროს 1925 წ.). მაგრამ ამერიკელი ჟურნალისტი ნიკერბოკერი ვერ აღმოჩნდა სელდსის ღირსეული კოლეგა და როცა „ფაბრიკანტებმა“ განიზრახეს მისთვის ყალბი დოკუმენტების პარტიის შეჩეჩება, მან ამის შესახებ აცნობა ბერლინის პოლიციას.

„ფაბრიკანტები“ არა მარტო ყალბ დოკუმენტებს ამზადებდნენ, არამედ ჯაშუშის როლსაც



ამერიკელი სენატორი **ბორა** და **ნორრისი**, რომლებიც ყალბი დოკუმენტების დამმზადებლების მახინაციების მსხვერპლი შეიქნენ.

ასრულებდნენ ბერლინის პოლიციის სამსახურში და რა გასაკვირია, რომ ისინი ხელუხლებლობით სარგებლობდნენ შემდეგ, ვინ იცის — იქნებ ისინი თავის შემოსავალსაც უყოფდნენ ბერლინის პოლიციის მუშაკებს. გასაოცარი აქ არაფერი იქნება. თუ მენშევიკ ლიდერებისათვის სათაკილო არ არის სპეკულიანტ ბარმატის ხარჯზე ცხოვრება, აბა რა არის სასირცხვილო, რომ მენშ. პოლიცმეისტერი ყალბ დოკუმენტების ფაბრიკანტებს ჩაეზიაროს მათ შემოსავალში. მაგრამ დოლართან ხუმრობა როდი შეიძლება. დოლარი მბრძანებლობს მთელს გერმანიაში, დოლარი ბატონობს გერმანიის რკინისგზებზე, მრეწველობაში. და ბერლინის პოლიციაც ძალაუნებურად შეუდგა ფაბრიკის ვითომდა ლიკვიდაციას. დააპატიმრეს ყალბი დოკუმენტების დამმზადებელთა და გამსაღებელთა მთელი ჯგუფები. მაგრამ თუ რამდენად „სერიოზულია“ ბერლინის პოლიციის ეს გულმოდგინება, ამას ამტკიცებს თუ გინდა ის ფაქტი, რომ ფაბრიკანტების საქმეზე ექსპერტათ მიწვეულია ყალბი დოკუმენტების ერთ-ერთი დამამზადებელი ზივერტი და ციხიდან გამოუშვეს გუმანსკი, ყალბი დოკუმენტების დამზადების ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი.

მაგრამ გარეშე იმისა, თავს დააძვრენენ „ფაბრიკანტები“ მოსალოდნელ სასჯელს, თუ მათ თვალის ასახვევათ დასჯიან, ყალბი დოკუმენტების მრეწველობას კრიზისის ხანა დაუდგა, საეჭოა, რომ კიდევ მოიძებნონ სულელები, რომლებიც „ზინოვიევის წერილის“ მსგავს დოკუმენტების შეძენას მოისურვებენ.

**ვ. ნ—ძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

ძალა მიაქანებდა მატარებელს წინ. ეს იყო არკის ღელეში, სადაც ლიანდაგი გველივით იგრიხება, ქვეითდება კლდეებით, ღრეებით, და ჩანჩქერს გადმოსცქერის

გადაბმული ვაგონები ყოველ წუთს უფრო მძვინვარეთ მიაქანებოდენ, საკუთარი სიმძიმით გატაცებული. ორთქლი გამოშვებული იყო, მაგრამ ეს არ უშლიდა ამ ჩამწკრივებულ ვაგონებს უფრო გიჟურ დაქანებას, უფრო ჩქარ წინსვლას. მატარებელი მიჰქროდა ამ საშინელ დაღმართით, როგორც ექსპრესი, და, ბოლოს, როგორც ჯოჯოხეთური, გაგიჟებული მანქანა.

არავითარ ძალას აღარ შეეძლო გაეჩერებინა ეს გადაბმული ვაგონები, უფსკრულში რომ მიექანებოდენ.

ამ საზარელ ღრიალში და კვამლის ღრუბელში მიჰქროდა ორას ორმოცდაათი ათასი კილო რკინა და ოცდაათი ათასი კილო ადამიანის ხორცი. მემანქანე მუხრუჭს უჭერდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ ეს ვერ აჩერებდა გაქანებულ რკინის შესაზარ ჯადოს; მუხრუჭები მხოლოდ ცეცხლს აჩაღებდენ მატარებლის გავარვარებულ სახსრებში

ჯოჯოხეთური გრიგალი იფანტებოდა ნაპერწკლებად, შემდეგ ყველა ეს აპრიალდა ცეცხლად, იფეთქა და გადაიქცა თავბრუდამხვევ კომეტათ, რომელიც მიჰქროდა სადგურ სენ-მიშელ დე-მორიენნთან.

ის ვინც გამომწყვდეული იყო ამ წითლად გავარვარებულ აბოლებულ რკინის გალიებში და, შეიძლება ითქვას, ჩაჭედილი და ჩამარხული ამ ფანტასტიურ გაქანებაში,—ის, ვინც გადარჩა სიკვდილს პიავეს ბრძოლაში, ის ხუთასი ადამიანი ეხლა მხოლოდ მიხვდა, იგრძნო, რომ სიკვდილი მოახლოვდა.

მუშტები მოიღეიიეს, ვაგონების სარკმლები შეამტვრიეს. გალეწული კარებები ზანზარებდენ ამ არაჩვეულებრივ ჯადოსნურ მოძრაობის გამო. ბევრი გადმოხტა ამ ღამის წყვდიადში, მათ წინ გაშლილ უფსკრულში. არც ერთი მათგანი არ გადარჩა, და მათი დასისხლიანებული, დაკუწმაწებული გვამებით მოიფინა მთელი გზა იმ ადგილამდე, სად ც უნდა აუცილებლად დაბოლოებულიყო ეს საზარელი კატასტროფა.

ეს საბოლოო წერტილი წარმოადგინდა მკვეთრად დაკლაკნილ შესახვევს, რის შემდეგ იწყობოდა ხიდი სენ მიშელის სადგურთან ახლოს.

მეტეორი, ხალხით შეჭედილი, განაგრძობდა ამ შესახვევზე პირდაპირი სვლას, და აი მოსხლტა ლიანდაგიდან, გადაეშვა და ჩაერჭო მიწას, ვით ზარბაზნის ტყვია. ორთქლმავალი უცებ გვერდზე წაწვა. ვაგონები ერთი მეორეს დაეჯახნენ, ავარდნენ. ჩაცვივდნენ ქვეით ერთი მეორეს აეჩხორენ. ამოივსო უფსკრულის სიღრმე თვით ხიდამდე. მთელი მატარებელი საზარლად წაწვა. მის ნამსხვრევებზე, დიდ პირამიდათ რომ აღიმართა, უმალ ავარდა ცეცხლის ალი და შეიქმნა საშინელი ხანძარი.

დიდხანს არ მძვინვარებდა ცეცხლი. ამ ღამეში, აპრიალებულ ნამტვრევებს გამოჰგლიჯეს ას ორმოცდაათი დაჭრილ-დასახიჩრებული, უმეტესი ნაწილი ძლიერ მძიმედ დაშავებულნი. დანარჩენი კი ნახშირად იქცა—სამას ორმოცდაათი ჯარის კაცი, რომლებიც სიხარულით მიილტვოდენ სახლისკენ ორიოდე დღით, რომ შემდეგ ისევ განეგრძოთ თავიანთი ჯოჯოხეთური ცხოვრება.

მეორე დღეს კი გამოქვეყნებულ იქნა საზარელი ცნობები იმ „უბედური შემთხვევისა“, რომელიც სადგურ სენ-მიშელ დე-მორიენნთან მოხდა.

თავს იქცევდნენ ამ ამბით თავის ბუხართან მყუდროდ მჯდარი ადამიანები, თბილად და მაძღრად რომ გრძნობდნენ თავს ომის საშინელ დღეებში; ისევე აუშფოთებელი—სულით და ხორცით, როგორც ის უფროსები, რომლებმაც უბრძანეს მემანქანეს გამგზავრებულიყო, რათაც არ უნდა დასჯდომოდა მას.

უფროსები არავის შეუწუხებია დაკითხვით, არ მოუთხოვიათ მათთვის ახსნა-განმარტება, პირიქით მას შემდეგ ყველა მათგანი დაწინაურებულ იქნა სამსახურში.

მაგრამ. ჩვენ კი, ჩვენ, ვინც სინამდვილე ვიცით,—ჩვენ გვევალება დავიხსომოთ ეს „უბედური შემთხვევა“.

**ჰ. ნრი ბარბიუსი.**

# სვანეთისაკენ
## (გზა და გზა)
### ა. მთიელგარელი




ორთქლმავალმა დაიკივლა, სადგურს აცნობა მიახლოვება.

—. აბაშა.—დაიძახა კონდუქტორმა.

— А после Сенаки, гражданин кондуктор?—რუსულად იკითხა ვილაცამ.

— Да, Сенаки,—უპასუხეს მას.

მგზავრები რბილი ვაგონის კუპეებიდან გამოსულიყვნენ და ფანჯრებიდან მისჩერებოდნენ დიდ ქალებს, ნასიმინდარებს. აქა-იქ წრევანდელ მოსავალზე ჩამოვარდა ლაპარაკი.

— О чем идет у них разговор?—შეეკითხა ქალი მის გვერდით მდგომ ულვაშებ აწკეპილ ახალგაზრდას.

— Про урожаи говорят, про Мингрелию,—უპასუხა ახალგაზრდამ. ქალმა აიღო უბის წიგნაკი და ჩაიწერა, რაც უთხრეს.

— Далеко, мадам, едете?—ჰკითხა ქალს ახალგაზრდამ.

— Далеко. В верхнюю Сванетию, в самые горы,—უპასუხა ქალმა.

— მერე ზამთარში იქ მისვლა ხომ ძნელია,მით უფრო თქვენთვის, ქალისთვის ან რა საქმეზე მიდიხართ სვანეთში,—ეკითხებოდა ყმაწვილი.

— მე ექიმი ვარ,—გააცნო ქალმა თავი,—მივდივარ ექვსი თვით, სწორეთ ზამთარში მინდა შევისწავლო იმ კუთხის ბუნება.




სვანეთში... ექვსი თვით... ექიმი... როდესაც ეს სიტყვები გავიგონე, ვცქვიტე ყურები, მივუახლოვდი და გავიცანი ექიმ-ქალს, მეც ხომ იქით მივდიოდი.

— აი რა ბედნიერებაა, რა მარჯვე შემთხვევაა, აგერ ამხანაგიც გამოჩნდა,—სიხარულით სთქვა ქალმა, გაშორდა მოსაუბრეს და მე გამომელაპარაკა.





— სენაკი — მოისმა კონდუქტორის ხმა. მგზავრებმა იწყეს ჩამოსასვლელად მზადება. მატარებელმა ერთი ღრმად ამოისუნთქა და ორთქლი სქლათ დააბნია მიწაზე.

— აბა, ვის უნდა მუშა! მუშა!—დაიძახეს მუშებმა და ვაგონში ამოცვივდნენ.





მე და ექიმი გადავედით შავი ზღვის რკინის გზის მატარებელში.

დაიძრა მატარებელი. აქ წვიმდა ძალიან. საკვირველად იცვლება საქართველოში ბუნების მოვლენები. თბილისში მშვენიერი დარი იყო, მზე მხიარულად ამოვიდა და მხიარულად ჩავიდა. ერთი პატარა ღრუბელიც არსად სჩანდა, წიფიდან ცა თითქოს აპრელდა... რიონი... ცა მოღრუბლული, ცა გულმოსული. სენაკი... წვიმა პატარა, გულის საამო ჯოლევჯიანში—კოკისპირული. იქით სვანეთი, მის მთებზე თოვლი.

— აბა, ზუგდიდი! ზუგდიდი! იძახოდნენ წვიმისაგან მთლად სველი მეეტლეები. მე და ექიმიც ჩავჯექით ერთ-ერთ ეტლში. ცუდათ მოვლილი, გაძვალტყავებული ცხენები ვერ წაგვიყვანდნენ—გვეგონა, მაგრამ მეეტლემ გრძელი თასმიანი მათრახი რომ გადააწნა გვერდებზე ძახილით „ჰა! ცხენ-სი“, მაშინ სწრაფად გაქანდა ეტლი. ნახევარი საათის შემდეგ უკვე ზუგდიდში ვიყავით.

ზუგდიდში ფართე და განიერი ქუჩებია, ქვით მოჭედილი; სახლების უმეტესობაც ლამაზი და ახალია. ეტყობა ალმასკომს ენერგია არ დაუზოგავს ქალაქის კეთილმოწყობისათვის.

მე და ექიმი-ქალი საღამოს კლუბში შევედით. მხიარულად დაგვიხვდა კლუბის გამგე... ყველაფერი გაგვაცნო.

მეორე დღეს ისევ წვიმდა.

— შეხედეთ, შეხედეთ,—მომაძახა აღფრთოვანებულმა ექიმმა,—რა მშვენიერი, რა ლამაზია და მიმითითა სვანეთის მთებისკენ. ახალი თოვლი.

თერთმეტ საათზე დილიჟანმა მოგვაკითხა. ჩაგვსვეს შიგ. ჩემთან ერთად მაში ჩასვეს იმდენი მგზავრები, რომ ერთი მეორეს თითქმის მუხლებზე ვეჯექით.

— აბა ჯვარი, ჯვარიო,—მაინც ყვიროდა მიუხედავათ ამისა მედილიჟნე და მუშტარს კიდევ ეძებდა.

ისევ წვიმდა. ჩვენ გადაგვახდევინეს ხუთხუთი მანეთი, მაგრამ ეს ფული ოცდა ცხრა ვერსის მანძილზე ალბათ ნახევარს უდრიდა, რადგანაც თითქმის მეორე ნახევარი დიდ ტალახებში ფეხით ვიარეთ.

— საწყალი ხალხი, სჩანს, ახლა დასახლებულა და ქვის დაფენა ვერ მოუსწრიათო,—უთხრა მოსკოვიდან ჩამოსულმა ინჟინერმა თავის ამხანაგს, როცა ისინი ქალალდის ფაბრიკის ასაგებ ადგილის დასათვალიერებლად მიდიოდნენ ჯვარში. ხრეში იქვე გვერდით. ენგურის კენჭი მთელ საქართველოს ეყოფა.

უკვე ღამდებოდა და დილიჟანი ჯვარში მივიდა. ათი ნოემბრის ბაზრობა ჯვარში მიწურულში იყო. ამ ბაზრობაზე იყიდებოდა ადგილობრივი ნაწარმოები: შალი, ნაბადი, მატყლი დარაია და სხვა. სვანებიც შეგვხვდნენ; ჩიოდნენ—ცხენები დავკარგეთო. სამმა ცარიელი უნაგირები დააბრუნეს სახლში.

მეორე დღეს ჩვენც დავტოვეთ ჯვარი. გავედით ბაქანზე. იქით ფერდობი. ახვალ ზევით და გრძნობ, რომ სხვა ჰაერი და სხვა ბუნებაა. „Сванетская тропа Джвари — Бечо“--ასე ეწერა ჯვარის თემ-სამმართველოს წინ დასობილ ბოძზე. ეს წარწერა გასაბჭოების შემდეგ შეიცვალა ჯვარი-მესტიად. მანძილი ცოტათი გადიდდა. საბჭოთა ხელისუფლებამ 1926/27 წ. ზაფხულის თვეებში მესანგრეები ამუშავა ამ გზის კლდეების გასაფართოებლად და ახალი ხიდების ასაგებად.



ამ რამდენიმე ხნის წინად სვანეთის დელეგაცია იყო მოსკოვში; უნახავთ ამხ. ამხ. კალინინი, რიკოვი, ორჯონიკიძე და სხვ. აუწერიათ სვანეთის ჩამორჩენილობა, მოწყვეტილობა ქვეყნიერებისგან და უთხოვიათ დახმარება გზის გაყვანის საქმეში. დელეგაცია დიდი იმედით დაბრუნდა.

ავყევით ზევით. ჩვენ მივდიოდით იუნხერის გზაზე: ღამე ვათიეთ ოჯახებში. ექიმი ავადმყოფებს სინჯავდა და წამლებს უწერდა. გზა და გზა ახალგაზრდები გვხვდებოდნენ.

გავიარეთ ბარი, ავედით ეწერში. დადეშქელიანთა ყოფილ სარეზიდენციო გაშლილ ეწერში. დღეის ეწერში თავადების ნატამალიც არ არის. დიდი სასახლე გლეხებს ბასტილიის ციხესავით დაუნგრევიათ. კოშკი, მაღალი სახურავი მოხდილი, ყრუ-მუნჯად გადაქცეულა.

იკლო წვიმამ. გაიხსნა ზეცა, მზე დავინახეთ. ავყევით ზევით, ვიარეთ და გორაკიდან ბეჩო დავინახეთ.

დავტოვეთ ბეჩოც. ავედით ბალზე და ჩვენ წინ ლატალი გადაიშალა: კიდეც დაღამდა, როცა ლატალაში შევედით, ზემო სვანეთის ზნეჩვეულების ყოფა-ცხოვრების და ენის ამ შუა გულში.—„ხოჩა ლადელ ჯარ“---ეუბნებოდა ექიმი ყველა სვანს, ვინც კი გზა და გზა გვხდებოდა—„ხოჩა ჯეყარ“—უპასუხებდნენ და ცხენზე მჯდომ ქალს აკვირდებოდნენ ცნობისმოყვარეობით.

მოიცადო ერთ წამას,—გვითხრა ყმაწვილმა, შევარდა სახლში და ჯამით არაყი გამოიტანა, თან ხმელი პური. ძალიან ცდილობდა ახალგაზრდა გვესვა ჯამიდან არაყი...

გავსწიეთ, ვიარეთ ბნელაში. ცა სულ მთლად მოწმენდილი იყო. მთვარეს ველოდით, მაგრამ არ სჩანდა... ზევედით ლენჯერში, მთვარემ ერთ ადგილას ამოანათა, ამოჰყო თავი მწვერვალებიდან.

— „რა კარგია, რა ლამაზია, აბ სად ნახავს ადამიანი სხვაგან ასეთ სანახაობასო — მეუბნება ექიმი;— დიდათ კმაყოფილი ვარ, რომ ამ დროს აქ მოვხვდი,—აღტაცებით განაგრძო ექიმმა და რაღაცას წერა დაიწყო. გავშორდით ლენჯერს და ჩავედით მესტიაში, ჩვენი მოგზაურობის უკანასკნელ სადგურში!

აღფრთოვანებით ვეცნობით აქაურობასაც.

ა. მ.





## ფოტო-აპარატით საქართველოში

1) სამხრეთ-ოსეთის სამხედრო გზა. ზ[illegible]მიგი და მამისონის უღელტეხილი, 2) გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა ყაზბეგ[illegible] [illegible]) სოფ. ყაზბეგი, 4) სოფ. გერგეთის მიდამოები, 5) 120 წლის გლეხი (წალკა) 6) სოფ. მლეთი, ცხვრის ფარა საძოვარზე, 7) ვარძიას ხეობა, 8) ვარძიას ძველი მ[illegible]ტერი, 9) გამოქვაბულები ახალციხეს მაზრაში, 10) 110 წლის რაჭელი გლეხი [illegible]ნდვრის სამუშაოზე 11) ჰიათურა, 12) სამხრეთ-ოსეთი, სოფ. გურშევი, 13) თბ[illegible]სი, ტრამვაის ახალი ხაზი შუაბაზარში, 14) ქუთაისი, ლენინის ძეგლი, 15) მთ[illegible]აიხოხი 16) ჰიუხის მთები, (ხევსურეთი) 17) მთის ნაკადული, 18 ხევსური სოფ. ჯ[illegible]დან, 19) სოფ. ხადო (ხევსურეთი, 20) ხევსური ქალი, 21) გუროს ხეობა (ხევსურ[illegible]), თოვლის ნარჩენები ზაფხულში, ქვემირბის ჩუ), 22) გზა შატისკენ გუროს ხ[illegible]ში, 23 გუროს გადასავალი (ხევსურეთი), 24) მდ. არგუნი (ხევსურეთი), 25) [illegible]ი სოფ. დანო (გუროს ხეობა), 26) თუში ქალი, 27) გადასავალი ხევსურეთიდან თუშეთში.



# ჯანსაღი და კულტურული დასვენებისათვის



უკვე დაიწყო საგაზაფხულო შვებულებების პერიოდი. მუშა-მოსამსახურეები ათასობით თავისუფლდებიან სამუშაოდან და მიდიან დასასვენებლად, რომ ჯანღონით სავსენი დაუბრუნდენ წარმოება-დაწესებულებას. ოჯახს.

ყოველწლიური დასვენება განსაზღვრული ვადით—საბჭოთა კავშირის მშრომელთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია. ჩვენი რევოლიუციონური შრომის კანონიერება—ეს არის განსახიერება ყოველდღიური დაუღალავი ზრუნვისა მშრომელთა ჯანმრთელობაზე.

მშრომელთა ჯანმრთელობის დასაცავად პროლეტარულ სახელმწიფოს მოეპოება სამკურნალო დაწესებულებების ფართე ქსელი, დაწყებული ამბულატორია-საავადმყოფოებით და გათავებული დასასვენებელ სახლებითა და სანატორიუმებით. ის ადგილები, სადაც წინედ მხოლოდ შეძლებულ კლასებს ჰქონდათ დასვენებისა და განცხრომით დროს გატარების საშუალება, დღეს მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის ფაბრიკებს წარმოადგენენ. გარდა მკურნალობისა სახელმწიფოს ხარჯზე მშრომელთ ყოველწლიურად ეძლევა დაწესებული შვებულება.

და სწორედ ამ თავისუფალი დროის გამოყენებას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ კიდევ არ ვიცით კულტურულად დასვენება. ბრძოლა ჯანსაღი და გონიერი დასვენებისათვის უნდა გადაიქცეს კულტურული რევოლიუციის ერთ-ერთ ამოცანად.

არის კულტურული დასვენების ათასგვარი ფორმები. მათგან არჩეულ უნდა იქნეს ჯანმრთელობისა და გათვითცნობიერების თვალსაზრისით სასარგებლო. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა საექსკურსიო-ტურისტულ საქმეს, რომელიც ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ კუსტარულ ხასიათს ატარებს.

იმ დროს, როცა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, განსაკუთრებით რუსეთში და უკრაინაში საექსკურსიო-ტურისტული საქმე შედარებით კარგათ ირის დაყენებული და ამ რესპუბლიკებიდან ტურისტებითა და ექსკურსანტებით სავსე მთელი მატარებლები იგზავნება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში, ჩვენში ძლიერ მცირეა რიცხვი მშრომელების, რომელიც თავის შვებულებას საქართველოს ან მეზობელ რესპუბლიკების მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების, შესანიშნავი ადგილებიის და კულტურულ-სამეურნეო მიღწევების გასაცნობად იყენებს. ასეთი ხასიათის ექსკურსიები კი, გარდა იმისა, რომ იგი სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის (მოძრაობა. ჰაერზე და მზეზე ყოფნა) ამდიდრებენ მშრომელთა კულტურულ დონეს, აფართოებენ მის ცოდნას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ხშირად ჩვენი ექსკურსიები იმის მაგიერ, რომ კულტურულ-განმანათლებელი როლი შეასრულონ, იქცევა სამდგურ და დაუშვებელ „დროს გატარებათ“ წმინდა ჰაერზე, კვართებით, მუშტი-კრივითა და ლანძღვა-გინებით. ამგვარ „დროს ტარებას“ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს მთელმა მუშურმა საზოგადოებრიობამ. საჭიროა ბრძოლა არა მარტო იმასთან, რომ ექსკურსიები არ თავდებოდეს თავაწყვეტილი ქეიფით, არამედ იმასთანაც, რომ საერთოდ მშრომელთა ყოფა-ცხოვრებიდან და კერძოდ დასასვენებელი ადგილების არემარედან განიდევნოს ორთაჭალური ქეიფი, დაფა-დუდუკი და არღანი (ეს განსაკუთრებით ითქმის თბილისის ახლო მდებარე აგარაკებზე, სადაც კვირა-უქმეებში თბილისელი ყარაჩოღელები ღრიალითა და არღნის წრიპინით მოსვენებას არ აძლევენ სააგარაკოდ მყოფ მუშა-მოსამსახურეებს).

გაზაფხული დადგა. მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომ მშრომელთა მთელმა მასამ კულტურულად და სასარგებლოდ გამოიყენოს კანონით მინიჭებული დასასვენებელი დრო.

მ. რ.







ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბობოლა

სანდრო შანშიაშვილი

ერთ დროს ანჯიქოს სოფელში დიდი სახელი და გავლენა ჰქონდა.

მგზავრი პირველად ანჯიქოს სახლს შენიშნავდა. იგი სოფლის შუაგულში აღმართულიყო. მაღალი. ორსართულიანი.

აივანი მთელს სოფელს გადმოსცქეროდა. იტყოდი, ეს სახლი რომელიმე თავადს უნდა ეკუთნოდესო, მაგრამ მისი მეპატრონე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იყო ანჯიქო, მეტ სახელად ბობოლა.

როგორ მოხდა, რომ ანჯიქომ ასეთი სახლი წამოჭიმა?

ხალხში გამიგია, სახლი რომ იწვებოდეს, ანჯიქო ხელს არ გაანძრევსო, ზაფხულში თავს არ დაისიცხავს და ზამთარში ფეხს არ დაისველებსო...

მაშ ვინ აუშენა ასეთი მდიდრული სახლი?

ვინ აუვსო ბეღელი პურით და მარანი ღვინით?

ვინ მისცა ამდენი ძროხა, რომ მოწველე და მომგებს საქონელს ხუთი მოჯამაგირე მოვლას ვერ ასვლია?

მისი ერთი იორღა იაბო, ამბობენ არაბულ სისხლისააო, ორას თუმნად შეაფასეს. მისი ოქრომკედიანი საკმაზი, ვერცხლის უზანგებით და ოქროში დასევადებული აბზინდებით, კეხზე ძვირფასი თვლებით, ცხეხზე მეტად იყო შეფასებული.

მისი ვენახი?

ვენახი იყო სოფლის ბოლოს შვიდი დესეტინა ნამყენი ვაზი, რომელსაც ქვიტკირის კედელი ჰქონდა შემოვლებული და გლეხები „ანჯიქოს ზვარს“ ეძახდნენ,

ვენახში რომ შეხვიდოდი, იქვე მაღალი ფანჩატური იდგა, რომელიც ძველიდანვე „საინიავოდ“ იწოდებოდა.

ზვარში წყალი გამოდიოდა. იქვე გაკეთებული იყო დიდი აუზი ხელოვნურად თევზის მოსამრავლებლად.

იქვე საფუტკრე ას ძირზე მეტი დადან-ბლატის სკებით. ადრე ზაფხულიდან დაწყებული, ვიდრე ღრმა შემოდგომამდე, ისმოდა ფუტკრის ზუილი და გუგუნი.

ანჯიქოს გამოცდილი მეფუტკრეც ჰყავდა, რომელიც ყოველ წლივ, თუნდაც გოლვიანი წელიწადი ყოფილიყო, მაინც რამდენიმე ასეულ ფუთს თაფლს ამოიღებდა.

ყოველივე ეს საიდან? როგორ?

რომ არ გავაგრძელო, მოხდა „მოდი ვნახოთ ვენახის“ ამბავი, სადაც ნათქვამია: თოფმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამაო!

მაგრამ ანჯიქომ ვინ შეჭამა? საიდან დარჩა ამდენი ნადავლი?

ამას ვრცელი ისტორია აქვს, მაგრამ არ შემიძლიან ძველ ამბებს გადავყვე. ამისთვის არც დროა.

გარდასულ ხალხისთვის ეხლა ვილას სცალიან, როცა თვალი ველარ ასწრობს შეაჩერდეს ახალ ცხოვრებას. დღევანდელს ხვალინდელი უსწრობს, გუშინდელი უკვე მოგონებად აღარ ღირს და რაც კი ჩვენ განვიცადეთ, აღარც სიცილია, აღარც ტირილი და აღარც მოხუცის ნაამბობი, რომლით ბავშსაც კი ველარ გაართობ.

მაინც მოთხრობის მთლიანობისთვის მკითხველს დროს წავართმევ და მოკლედ გავაცნობ „თხა და ვენახის“ თავგადასავალს.

რაც დღეს ანჯიქოს მფლობელობაშია, ყოველივე ეს ეკუთვნოდა ვინმე თავადს, რომლის წინაპრები „ქართლის ცხოვრებაში“ იხსენიებოდნენ და ცხრა ადლიან სიგელებით დამტკიცებული ჰქონდა, რომ „შეწევნითა ღვთისათა ებოძეს საშვილიშვილოდ მამული ესე ძეთა ყაფლანისათა!“

ეს მამული „გუშინ“ ეკუთვნოდა თამაზ ყაფლანიშვილს, რომელიც არც ლუარსაბ თათქარიძეს ჰგავდა, და არც თორნიკე ერისთავს.

ეს იყო კაცი, რომელსაც უყვარდა გამოჩენა. ერთ დროს დიდათ ერთობოდა „ბანკობია'ში“. როცა ჭავჭავაძე და მაჩაბელი ერთმანეთს ზარბაზნებს უშენდნენ, ხოლო თამაზი, მაშინ ახალგაზრდა, გამარჯვებულის მომხრეებს „პურ-ღვინოში“ ზურნით ვახშამს უმართავდა.

თამაზს თავი მოჰქონდა, როცა მეორე დღეს მის მიერ გამართულ ვახშამზე დაიწყებდნენ საუბარს და მასპინძლის გულუხვობას შეაქებდნენ.

— თამაზ გულადი, პურადიო! უფრო თავი მოსწონდა, როცა იტყოდნენ:

— ყველაზე მეტი დალია და ქალების არშიყობაშიაც ყველას აჯობაო.

მაგრამ თამაზს მკერდი აებერებოდა, კეხიან ცხვირის ნესტოები გაუდიდდებოდა და სუნთქვა შეეკვრებოდა, როცა იტყოდნენ:

— ჯერ შუშები ჩალეწა და როცა მეეზოვე გამოედავა, ცხვირპირი ჩაამტვრიაო!

წათამამებული ასეთის შექებით, თამაზი უფრო ხშირად მართავდა ვახშმებს, ხან ორთაჭალაში, ხან ვერის ბაღებში.

გალეშილი ჩაეგდებოდა ეტლში და თავის ამქრებით ჯერ ქალაქ გარედ ისეირნებდა და შემდეგ ისეთ სასტუმროს ეწვეოდა, სადაც „ღამის პეპელები“ გუნდ-გუნდათ თავს ევლებოდნენ და ჩარჩენილ „ჯიბის მარაქას“ ამოაცლიდნენ.

სახლში ხან რამდენსამე დღეს არ ბრუნდებოდა და მასზე არა ნაკლებ განებივრებული, ფაშფაშა ცოლი ერთს საყვედურსაც არ ეტყოდა, რადგან მისი აზრით: „ბატონი ცხოვრების ჭიას იკლავდა“.

ხოლო არ ვიცი, ქმარი უფრო იკლავდა ამ „ცხოვრების ჭიას“, თუ ცოლი, რომელსაც საყვარლად ერთი სამხედრო ჰყავდა, ერთი სასულიერო, ერთი ახალგაზრდა გიმნაზიელი, რომელიც თავის პაწიას რეპეტიტორად აუყვანა და ერთიც....

ეს კი პატიოსან მანდილოსანის შეურაცხება იქნება, რომ მზარეულზედაც ეჭვი შევიტანო, მაგრამ ცხადი კი იყო, რომ მზარეულად ახალგაზრდას და თმახუჭუჭას ირჩევდა, და მეორე თვეს ისევ ითხოვდა.

რა იყო მიზეზი?

კნეინასთვის რომ გეკითხათ, გეტყოდათ:

— უჯიშოა და ამას გარდა ქურდი! მაგრამ ბოროტი ენა და თვით დათხოვნილი მზარეული სხვას ამბობდა.



პარიზის ღარიბები, მდიდარი ბურჟუაზიული „სამშობლოს“ მსხვერპლნი, რიგში ჩამდგარნი დახმარების მისაღებათ.

ბოლოს მონახა ერთი უზარმაზარი ქიზიყელი, რომელსაც მზარეულობის არაფერი გაეგებოდა. სადილს ხან დაამლაშებდა, ხან ალანძავდა, ხან სულ მოუხარშავს მოართმევდა, მაგრამ მაინც იყო შესანიშნავი და გამოცდილი კულინარი!

თამაზს სად ეცალა ეჭვებისთვის?

არც ცოლს ეცალა თამაზისთვის. ფული იფლანგებოდა, მაგრამ მაინც ულეველი იყო.

თამაზი თავის მოურავს აწუხებდა, მოურავი გლეხებს.

ეს იყო მიზეზი, რომ მოურავს ერთხელ ესროლეს და დასჭრეს.

თითქოს თამაზს ჯიბეში ნატვრის თვალი ედო: მოსდიოდა და მოსდიოდა ფული, სანამ...

მოვალეები ვექსილებით თავს არ წამოადგნენ ამსრულებელ ბოქაულით.

ყველაფერი ვალში გაეყიდა, იმ სახლის და ვენახის გარდა, რომელიც დღეს ანჯიქოს ხელში იყო,

სახლი და ვენახი იმდენ შემოსავალს აღარ აძლევდა და მეტის სიმძაფრით მოურავს აწუხებდა: ფული და ფულიო!

მოურავი ანჯიქოს მამასთან გარბოდა სასესხებლად.

— ბეჟან, ბატონი მითვლის... კიდევ მასესხე, გირაოდ ვენახს დაგიწერ...

ბეჟანი ჯერ უარს ეტყოდა და მერე დასთანხმდებოდა:

— მე კი არ მაქვს მაგრამ ჩემს ნათლიმამაზე მეგულება, ის კი დიდს სარგებელს თხოულობს...

— მივცემ! მივცემ!

იწერებოდა ასი თუმნების თამასუქები ხოლო ნაღდათ მოურავს მესამედსაც არ აძლევდა. მოურავი იმასაც შუაზე ჰყოფდა და თავის საჭიროებისთვის იტოვებდა, ნახევარს კი ბატონს უგზავნიდა.

ერთს მშვენიერ დღეს „ტორგში“ გაიყიდა თამაზის სახლკარი და ვენახი.

ამ დღისთვის ბეჟანი თავის თამასუქებით მომარჯვებული იყო.

ახალგაზრდა ანჯიქო ფეხზე აღარ იდგა.

ამ დღეს ანჯიქო პირველად დაითვრა და თავის მეპურმარილე ქეხა, სოფლის მწერალი და რამდენიმე ამხანაგი დაპატიჟა, რის გამო მამისგან საყვედური მიიღო, რომ ოჯახს ღუპავდა და მის მონაგარს გამვლელ-გამომვლელს აჭმევდა.

მთვრალი ანჯიქო მამამ სტუმრებთან შეარცხვინა და ისე რიგად გააბრაზა, რომ მოხუცს ყელში ეძგერა და იქვე დაახრჩობდა, თუ სტუმრები არ გააშველებდნენ.

ასეთი სკანდალით დასახლდა ბეჟანის მოდგმა თავადის ბინაზე.

ბეჟანი ძუნწი და ხელმოჭერილი გლეხი იყო. გროშს გროშზე ადებდა. ან გაასესხებდა, ან მეთამბაქოეს აძლევდა, იმ პირობით, რომ მას თავნი არ დაჰკარგოდა, ხოლო მოგება ორი წილი ბეჟანისა უნდა ყოფილიყო.

ჩარჩობდა. დალალობდა.

ტანთ არც თვითონ იცვამდა და არც ცოლშვილს აცმევდა.

## მუშათა საბინაო მშენებლობა ბათომში

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ნავთის სინდიკატის მიერ მუშების-თვის აგებული სახლები.**

ცარიელ ხმელ პურზე გადადიოდა და დიდი მოწყალება უნდა ყოფილიყო, რომ ნება დაერთო ლობიო მოეხარშათ.

მოვალეს სასამართლოში იმდენს სდევდა, სანამ ერთს ათად არ გადაახდევინებდა და ყოველ ხარჯებსაც არ აინაზღაურებდა.

მოხუცი ბეჟანი დიდი ხნის ქვრივი იყო. ოთხმოც წელს მიღწეული, მაგრამ შეხედულობით ორმოცდაათის წლის ჭაღარაზე ახალგაზრდა მოსჩანდა.

როგორ შეიძლება, ანჯიქოს მისი სიტყვისათვის გადაეხვია. თავზე კაკალს დაამტვრევდა, მთელ კვირას იჩხუბებდა.

უკვე დაცოლშვილებულ ანჯიქოს მამა ველარ აეტანა.

— როდის იქნება, ჩაძაღლდეს! ინატრებდა ანჯიქო, მაგრამ ბეჟანი თითქოს უფრო ახალგაზრდავებოდა.

ეს გაუტეხელი კაცი ბუნებრივმა სიკვდილმა ვერ მოტეხა.

ერთს ზამთარს ღამეს იგი მოჰკლეს. მოჰკლეს ნამძინარევი თავისავე საწოლ ოთახში.

ვინ მოჰკლა?

დღესაც არავინ იცის!

ანჯიქომ დილით განაცხადა სამმართველოში, რომ მოხუცი მამა მოუკლეს.

ეს იყო და ეს.

თავი აღარ შეუწუხებია მკვლელების აღმოსაჩენად.

ბევრს ეჭვი ეპარებოდა, ეს ბოროტი საქმე თვით შვილმა მოაწყო, მაგრამ საბუთი ხელთ არავის ჰქონდა.

ამ დროს არც ხელისუფლებას ეცალა.

ხელისუფლება?

სად იყო ამ დროს ხელისუფლება?

ეს მკვლელობა მოხდა დიდი ამბების დროს, როცა ოქტომბრის ტალღებს „ველარ უძლებდა ძველი სოფელი“!

ამ დროს მხარზე თოფგადაგდებული ანჯიქო ორი მაუზერით, სამი თუ ოთხი პატრონტაშით წითლებს ებრძოდა.

თებერვლის ცივი და და თოვლიანი ამინდი იყო.

ანჯიქომ ერთ ღამეს კი ათია „ბრძოლის ველზე“, მაგრამ მეორე დღეს გუდა აკიდული სახლისკენ მოკურცხლა.

სასაცილო სანახავი იყო. თავით ფეხამდე იარაღში იყო, ყოველი ჩირგვი ბოლშევიკად ელანდებოდა და თავისდაუნებურად: „ზრასტი-ზრასტის“ ეძახოდა.

— თავში ქვა უხლიათ! ერთს წამართმევენ? ათი დამრჩება! ვინც მოვა, ქუდს მოვუხდი.—ბუტბუტებდა ანჯიქო.

და იმავე საღამოს ანჯიქოს ბინაზე წითელ არმიელები ცხენებს აბინავებდნენ. ანჯიქო ამტვრევდა რუსულს. გაჰქონდა თივა, ქერი და ცოლს კი უყვიროდა:

— ჩქარა! ვახშამი მოამზადეო!

გარეგნულად მხიარულ ანჯიქოს, გული დამძიმებული ჰქონდა.

ძაღლდატანებით ხითხითებდა და წითელ არმიელებს ვახშამზე ღვინით უმასპინძლდებოდა.

წითელ-არმიელებმა თითო ჭიქის მეტი არ დალიეს და ეს ანჯიქოს ძალიან უკვირდა.

— პეი, კაცო! პეი!

წითელ არმიელები მალე აიშალნენ, ცხენებთან გუშაგი დააყენეს და დაიძინეს.

მხოლოდ ვერ დაიძინა ანჯიქომ. ჰგრძნობდა, რაღაც არაჩვეულებრივი მოხდა, რაც მის ბატონობას ნიადაგს აცლიდა, მაგრამ...

რა მოხდა?

გარკვევით ვერ წარმოედგინა. იყო გაბრუებული.

რა დაემართა შემდეგ? დღევანდლამდე?

**სანდრო შანშიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სულით ავადმყოფთა შემოქმედება

ექიმი-ფსიქიატრი გ. მ. შენგელაია

## I

შემოქმედების პროცესის ძირითად მექანიზმის გასაგებად მეტად მნიშვნელოვან ფაქტებს გვაწვდის, სულით ავადმყოფთა მხატვრულ ნაწარმოებების შესწავლა.

შეიძლება ამ დებულებამ ერთნაირი გაკვირვება გამოიწვიოს მკითხველში, მაგრამ თუ მოვიგონებთ, რომ ფსიქოზების დროს ხდება ადამიანის პიროვნების ზოგიერთ ფუნქციების გამოვარდნა, მისი რთული ფსიქიური ცხოვრების დაშლა-გამარტივება, მაშინ გასაგები იქნება, რატომ ზოგადი ფსიქოპატოლოგია გვაძლევს უამრავ მასალებს ადამიანის ნორმალურ ფსიქოლოგიის სწორი გაშუქებისათვის.




მაგალითად, საჭიროა გავიგოთ, თუ ტვინის რომელი ნაწილი განაგებს ვსთქვათ, ცხოველის მარცხენა კიდურების მოძრაობას? ჯანმრთელ ცხოველის გარეგან გასინჯვით ხომ ვერაფერს მივაღწევთ. ამიტომ უკეთებთ მას, ეგრეთ წოდებულ, ტრეპანაციას, *) ვანთავისუფლებთ ტვინს და ვაღიზიანებთ ამ უკანასკნელს სხვა და სხვა ადგილებში მანამ, სანამ საჭირო კიდურების მოძრაობას არ გამოვიწვევთ. მეტი სიზუსტისათვის ვაღიზიანებთ ნაპოვნ ადგილს და თუ ჩვენ იგივე კიდურების დამბლა მივიღეთ, მაშინ ვლაპარაკობთ, რომ აღმოჩენილი არე არის მარცხენა კიდურების მოძრაობის ცენტრი. აღწერილი წესი კვლევისა არის ხელოვნური ცდის— ხელოვნური ექსპერიმენტის მეთოდი. მაგრამ არსებობს ავადმყოფობანი. წარმოვიდგინოთ ადამიანს მოუვიდა მარცხენა ხელ-ფეხის დამბლა. ადამიანი გარდაიცვალა... მოხდა მისი განკვეთა და აღმოჩნდა ტვინის განსაზღვრულ ნაწილში სისხლის ჩაქცევა ტვინის ქრიკილის დაზიანებით. აქედან დავასკვნით, რომ ადამიანის მარცხენა ხელ-ფეხის მოძრაობის ცენტრი მოთავსებულია სწორედ სისხლის ჩაქცევის ადგილში.




ეხლა ავიღოთ უფრო რთული შემთხვევა: ბავშვი უკვე 10-12 წლისაა, მაგრამ მან არ იცის რა არის უფრო მეტი—საათი თუ წუთი, დღე თუ კვირა, ხუთი თუ სამი, ვერ არჩევს განსხვავებას მოკლე და გრძელ ჯოხთა შორის, მოკლედ რომ ვსთქვათ, არა აქვს დროს, რიცხვის და სივრცის ცნებები, რის გამო მოსაზრების—მოფიქრების, ლოღიკური მსჯელობის, კრიტიკის და სხვა ინტელექტუალ ფუნქციათა ჩანასახიც არ მოეპოვება. ამავე დროს მიზიდულებანი, ძირითადი ინსტინქტები თავდაცვის, კვების, სქესობრივი, შენარჩუნებულია. ეს ბავშვი შეპყრობილია იდიოტიით. მოვახდინოთ შემდეგი ცდა: დაუკრათ მის წინ რომელიმე მუსიკალური მოტივი ბავშვი დაიწყებს რითმიულ მოძრაობების წარმოებას; შევანელოთ ან ავაჩქაროთ ტემპი მუსიკისა—მაშინვე სათანადოთ შენელდება ან აჩქარდება მისი მოძრაობების ტემპი. თუ ეხლა



*) თავის ქალას რომელიმე ნაწილის ოპერატიული ამოკვეთა.

ჩვენ გავსინჯავთ ამგვარ ბავშვების ტვინს, აშკარად დავინახავთ, რომ მათი ტვინის ქერქი არ არის განვითარებული, დანარჩენი ნაწილები კი ე. ი. ქერქ-ქვეშა კვანძები *) რაიმე დიდ ცვლილებას არ განიცდის. მოცემულ მაგალითის მიხედვით უნდა ვსთქვათ: 1) ადამიანის გონებრივი (ინტელექტუალი მოქმედებანი ინტიმურად დაკავშირებულია თავის ტვინის ქერქთან, 2) მიზიდულებანი და ინსტინქტები ქერქ გარეშე ე. ი.




ქერქვეშა კვანძებშია მოთავსებული, 3) რაც უფრო ჩვენ თემას მჭიდროთ უკავშირდება—რითმის გრძნობა თანშობილია.

ამრიგათ ავადმყოფობა—სხვანაირად რომ ვსთქვათ — ბუნებრივი ექსპერიმენტი გვაძლევს უდავო, დიდ ღირებულების ფაქტებს, რომელთა აღმოჩენა, საგრძნობლათ ამდიდრებს ჩვენ ცოდნათა მარაგს.

## II

ადამიანის ფსიქიკა იყოფა სამ ნაწილათ, სამ სფეროთ—გრძნობათა ან ემოციონალური,




გონების ან ინტელექტუალური და ნებითი სფერო. ეს დაყოფა, რა თქმა უნდა ხელოვნურია. სინამდვილეში ფსიქიური აქტი განუყოფელია, არ არსებობს მარტო ემოციონალური ან და მარტო ინტელექტუალური მოქმედება. ხოლო არის მდგომარეობანი, როცა რომელიმე ერთი მათგანი ჭარბათ არის წარმოდგენილი ან და პირიქით დაკნინებულია, დაშლილია. შესაძლებელია აგრეთვე, რომ ამ სფეროთა შორის არსებობდეს ნაკლები ჰარმონია—შეთანხმება.




ემოციები თანდაყოლილ მონაცემს წარმოადგენენ. ემოციები (დადებითი — სასიამოვნო — სტენიური და უარყოფითი — უსიაოვნო—ასტენიური) გარემო სამყაროს შემეცნების პირველ იარაღათ ჩაითვლებიან, რომლითაც სარგებლობს ცხოველი, ველური, ან ბავშვი თავის მოქმედებებში (ნებითი აქტი) გარემო ბუნების მიმართ.

*) ადამიანის ტვინი იყოფა ორ დიდ ნაწილათ: 1) ქერქი და 2) ქერქვეშა კვანძები. ხერხემლიან ცხოველთა შორის, რომელთა ჯგუფში ადამიანი შედის, ტვინის ქერქის განვითარების, ევოლიუციონურ მოძლვრების მიხედვით, დაწყებას ვხვდებით თევზთა შორის; ქერქვეშა კვანძები კი უკვე იგივე თევზებს საკმარისად გამოსახული აქვთ. ამიტომ ქერქს ეწოდება სახელი ახალი ტვინისა, ქერქვეშა კვანძებს კი—ძველი ტვინი. ქერქთან დაკავშირებულია დაბადების შემდგომ შესწავლილი და შეძენილი მოქმედებანი.

მათთვის ღირებულია, მისაღებია ის, რაც მათ ასიამოვნებს, გაურბიან ისეთ გაღიზიანებებს, რომელნიც უკმაყოფილო გრძნობებს ჰქმნიან. ხოლო სათანადო ევოლიუციის შემდგომ გონება იჭერს სადირექტივო ადგილს. ამ მხრივ საინტერესოა როგორ ვითარდება ადამიანის ინტელექტუალი მარაგი.

ამ მიზნით უნდა ვისარგებლოთ ენის და ხელოვნების განვითარების თავისებურებებით,




რადგან სხვა გზა შინაგან ფსიქიურ ცხოვრების გაგებისა ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება.

A. თანდაყოლილად ჭკუა სუსტ 26 წლის ავადმყოფს, სურს გადმოგვცეს, რომ „ის ეხმარებოდა მოწყალების დას წამლების დარიგებაში“. ამას შემდეგნაირად მოგვითხრობს: „Жоржик... лекарство... бутылка... там... палата... сестра... дал... да... больной“ ბუშმენი უბრალო აზრის: „თეთრმა კეთილად მიიღო ბუშმენი“ მოყოლას ასე ახერხებს: „ბუშმენი... იქ... სიარული... აქ... სირბილი... თეთრი, თეთრი... მიცემა... თამბაქო, ბუშმენი... წასვლა... მოსვლა... მოწევა, თეთრი ხორცი მიცემა“ *).

ამ ორ ნიმუშში ვხედავთ მრავალ ცალკეულ წარმოდგენებს; მათში არ არსებობს, წარმოდგენების ამორჩევა ღირებულების მხრივ და მათ შორის გრამატიკული და სინტაქსიური კოორდინაციის დამყარების ცდა. ამგვარ აზროვნებას ეწოდება ასინტაქსიური აზროვნება. მიმდევნო საფეხური ფსიქიკის განვითარებისა არის ფაზა წარმოდგენების შეწებება — აგგლუტინაცია. მაგალითად, გრძელი ფრაზა კონკრეტულ წარმოდგენებიდან შემდგარი: „მზე... ამოდის... ამ... ადგილი“—შეიკვრება, შემოკლდება „აღმოსავლეთში“.

აღნიშნულ ფენომენის დადასტურებას ვხედავთ აგრეთვე მხატვრულ დოკუმენტებში. სამაგალითოდ: მდინარე მისისიპის სათავესთან მცხოვრებ წითელკანიანთ, ხვთიურ - მაგიურ არსების დამახასიათებელ ცნებების უქონლობის გამო წარმოიდგენენ მას ასე: სურ.1. ამ სურათში ნაკლებ კავშირის მქონე კონკრეტული წარმოდგენები: ირემის რქები, ღამურას ყურები, გველეშაპის ზურგი, ვითომდა ფრთები (სტილიზაცია, რითმი), გველის მაგვარი კუდი ადამიანის სახესთან შეწებებული, ჰქმნიან ზებუნებრივ ცხოველის არსებას.




მეორე სურათზე კვერცხის გულიდან წიწილები გამოდიან; მერე კი ბაღში დარბიან. (6 წლის ბავშვის ნახატი), ეს არის ცხადად გამოხატული წარმოდგენათა აგგლუტინაცია.

*) ეს მაგალითი და სურათები 1, 3, 4 ამოღებულია კრეჩმერის წიგნიდან: „სამკურნალო ფსიქოლოგია“.

მესამე სურათი მაგალითია სულით ავადმყოფის (ნაადრევი ჭკუა სუსტისა) ცნების გაპობის, გაფხვიერების. თვით ავადმყოფი ამ რიგათ ხსნის სურათს: „ადამიანი, რომელსაც სურს დაიმორჩილოს ღორი, თვითონ კი ნახევრად ცხოველია“ (სქესობრივი განცდა). განვითარებული ფსიქიკა ავადმყოფობის გამო უბრუნდება აზროვნების დაბალ საფეხურს.

B. გარე-სამყაროს აღქმა (მიმღებლობა) შეიცავს ორ მომენტს—შეგრძნებას და სუბიექტში არსებულ ცდას; ის (აღქმა) მჭიდროთ დაკავშირებულია სუბიექტის აფექტებთან, განცდებთან და იმპულსებთახ. ამიტომ ჩვენი წარმოდგენა რომელიმე მოვლენაზე ყოველთვის კომპრომისულია ობიექტიურ, რეალურ ფორმის და პიროვნების მიდრეკილების შორის. ახსნილი პროცესი საფუძვლად უდევს სტილიზაციის ფენომენს; უკანასკნელში კი შედიან: მნიშვნელოვანის გამოყოფვის, ფორმის გამარტივების და ფორმის განმეორების ტენდენციები. საილუსტრაციოდ მოვიყვან:




სურ. 4—ა. ფრინველი, ბ. თევზი, გ. ადამიანი. ამერიკის ერთ-ერთ ველური ტომის ორნამენტები;

სურ. 5—ავტომობილი, ექვსი წლის ბავშვის ნახატი;

სურათი 6—ბავშვის ფიგურა. *) (თანდაყოლილ ჭკუა სუსტის პროდუქცია);

სურ. 7—ჭამის დროს (ნაადრევი ჭკუა სუსტობა ;

სურ. 8—ადამიანის იდეათა რკალი (ნაადრევი ჭკუა სუსტობა).




C. სხვა ფსიქიურ აქტთა შორის ჩვენთვის მეტად საინტერესოა ე. წ. გამოთიშვის პროცესი. მთვარეს ამოსვლა ღამის დაწყებას ნიშნავს და როცა ჩვენ მთვარეზე ვლაპარაკობთ ყოველთვის ღამეს ვგულისხმობთ. მაგრამ განა მარტო მთვარე ახასიათებს ღამეს? ან არწივის ფრთებით მორთული წითელკანიანს ჰგონია, რომ მას ამით მიეცა არწივის თვისებანი, რათ ფიქრობს ის მაგრე? რა ხასიათის ფსიქიურ მექანიზმებთან გვაქვს აქ საქმე? ღამეს სილამაზეს აძლევს მთვარე, არწივს, მის ღონემოსულ ფრენას—ფრთები ე. ი. აფექტთან შეზავებული, ერთი წარმოდგენა სთიშავს ფსიქიკიდან მთლიანს და იჭერს მის ადგილს. აქედან, მე მგონი, გასაგებია, თუ საიდან წარმოიშვება სიმბოლიკა, თუ რატომ გვირგვინი მეფეს ნიშნავს—წითელი დროშა კი რევოლიუციას.

სულით ავადმყოფთა შემოქმედებაში საპატიო ადგილი უჭირავთ სიმბოლისტურ ნაწარმოებებს. ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ ფსიქოზით შეპყრობილნი უმეტეს წილად ემოციონალურად მოწყვეტილნი არიან ცხოვრებას, მოკლებულნი არიან გარე სამყაროს სწორ აფექტიურ აღქმელობას, არა გრძნობენ ცხოვრების პულსს. ამიტომ სულით ავადმყოფი (განსაკუთრებით ნაადრევი ჭკუა სუსტობისას) მთლიანად ჩაფლულია თავის შეგრძნებებში და განცდებში; უკანასკნელნი ღებულობენ (ავადმყოფისათვის) რეალურ ხასიათს; აგრეთვე, იმდენათ — რამდენათ, ფსიქოზებში და ფსიქოპატებში არა იშვიათი მოვლენაა ფსიქიურ სფეროთა შორის წონასწორობის დარღვევა, გასაგებია რა დაულეველი წყარო ჰკვებავს მათ აბსტრაქტობას სქემატიკობას და სიმბოლიკას. მაგალითად: სურ. 9 —დავა ცასა და მიწას შორის; სურ. 10 — საპყრობილე; სურ. 11—საქართველო. მოვიყვან კიდევ ერთ პოეტურ პროდუქციას.

„რა რიგ მომენტარა ყურთ აღქმის ბადაგი,
განცდათ სამსხვერპლოს წინ მის ტაბლის ნადაგი,
გულის ნაპრალებში ნათიში სადაგი,
არეწვა წიალის, ბეთლემის ნაბაგი.
ტალათ დახრა წმინდა, ბზა შეუმწიკველი,
აპოლონის ნანა, მარგალიტი მზბელი,
მხადის ტრახტევანი, ალტყინების მკვლელი
და კალამი ბასრი, ნობა, შამბი, ლელი
ნაღველში გავლესო კვნესა და დუხჭირი,
მელნათ ამოვწურო სამზმნე დანამჭირი,
ჩავჭედო სიკეთის ანარეკლი ვირი,
არასოდეს სოფლის არ გავხდე სტვირი“—

ამ ლექსში, გარეგანი ფორმა, ლექსთა წყობა, რიტმი დაცულია, ხოლო აშკარაა: პრეტენციოზული უშინაარსო ემოციონალი პოზა შემთხვევითი ასოციაციები, ნეოლოგიზმები (ახალი სიტყვები) სიმბოლიკა, აბსტრაქტობა და დისოციაცია.




ვათავებ რა ჩემ მოკლე მიმოხილვას სულით ავადმყოფთა შემოქმედებაზე, მე სრულიად არ ვფიქრობ, რომ რამენაირად ამოვწურე ეს დიდი საკითხი, რომლის ჩარჩოებში ბევრი პირველხარისხოვან პრობლემების შეტანა ადვილათ შესაძლებელია.

**გ. მ. შენგელაია**

---

*) სურათები 6, 7, 8, 9, 10, 11 პრინც ჰორნის წიგნიდან: „სულით ავადმყოფთა შემოქმედება“.

# მუშათა საბინაო მშენებლობა ქუთაისში



**ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთათვის აგებული ახალი სახლი.**



**რაჭა-ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშებისათვის აგებული სახლი.**

# თბილისი-ალბულალი-თბილისი

## საგიტაციო მოტო-გადარბენა

### სანდრო თბილისელი

ნახევრად საბარგო „ფიატი“ საუცხოვო მანქანაა, მხოლოდ მას სუსტი კბილანები აქვს და იგი მეტისმეტად დატვირთულია. ყოველი ნახევარი საათის შემდეგ ან გადასახურის გამოცვლა ხდება საჭირო, ან შოფერი მატორს უჩხიკინებს.

რაღა გასაკვირალია, რომ რამდენიმე კილომეტრის მანძილისთანავე ჩვენ თვალსაჩინოდ ჩამოვრჩით გადარბენის მოწინავე რაზმს.

მაკარონის ფაბრიკა სტილით თბილისის უკანასკნელი შენობაა. იგი თანდათან პატარავ-



ფოტო—კოგანის

**ზოგი ორატორს უსმენს, ზოგი კიდევ ჩვენ მიერ მიტანილ გაზეთს კითხულობს**

დება და ბოლოს სრულებით იკარგება ჰორიზონტიდან. ქალაქი უკან დარჩა. წინ გადაშლილია ერთფეროვანი, ჯერ კიდევ აუმწვანებელი გზა, რომელზედაც სქელი მტვერი დგას. მანქანა საშინლად გვანჯღრევს... ნახევრად საბარგო ავტომობილში ჩაჭედილია ათამდე კაცი: კინო-მექანიკოსები, სამნეო ნაწილის გამგე, საშეფო საზოგადოების წარმომადგენელი და კიდევ რამდენიმე ამხანაგი, თუმცა მე ბოლომდე ვერ შევსძე-



ფოტო—კოგანის

**ასურეთში ქალი ტრაქტორს მართავდა**

ლი გამომერკვია მათი დამოკიდებულება გადარბენასთან. ერთმანეთის „გასაცნობად“ დაწყებული საუბარი მალე სწყდება... ცივი ქარი ყოველი მხრიდან გვცემს, მოტორი გუგუნებს და ლამობს ქარის შხუილი დაფაროს... მოღუშული ცა ბევრს არ აყოვნებს და მალე წვიმით გვიმასპინ-



**პიონერების მიტინგი** ფოტო—კოგანის

ძლდება. გზაზე ზოგჯერ ვეწევით აჩქარებულ გლეხს ან ფურგონს.

გორაზე ძველი მონასტრის ნანგრევები გამოჩნდა. მალე მივაღწევთ პირველ შესაჩერებელ ადგილს, სოფელ კოდს.

სოფლის ახლოს ძალღონეს ვიკრებთ და მთლიან რაზმად შევდივართ „მთავარ ქუჩაზე“. აქ გველოდნენ.. თერთმე-



ფოტო—კოგანის

**ბავშების „ორკესტრი“ გვიჩვენებდა თავის ხელოვნებას**

ტიოდე წლის ბიჭუნა, რომელიც დასაზვერავად პატარა კორდზე წამოსულა, ჩვენი დანახვისას დაბლა გარბის, ეცემა, მაგრამ მტვერსაც არ იცილებს, ისე გარბის წინ და ყვირის: „მოდიან, მოდიან“...

კოდში ვაწყობთ პირველ მიტინგს. წითელი დროშებით, საგიტაციო ლოზუნგებით და პლაკატებით მორთული ჩვენი რაზმი ლამაზ სანახაობას წარმოადგენს. გუგუნებენ სასიგნალო საყვირები...

გლეხები სტოვებენ დამფრთხალ და აბლავლებულ საქონელს, მოდიან ჩვენთან და გარს ეხვევიან მანქანებს. ისინი ყურს უგდებენ ორატორის სიტყვებს, მაგრამ რომელიმე მათგანი ზოგჯერ ვერ ითმენს და ხმადაბლა კითხულობს მოტოციკლის შესახებ: „რამდენ ბენზინს ხარჯავს საათში?.. არ შეიძლება, რომ ასეთი მანქანა ურემში შეებას?..“

—მთელი ძალღონე თესვის ფრონტს... უნდა გავადიდოთ მოსავალი —ეს არის სოფლის ძირითადი ამოცანა და ამ ამოცანის შესრულებაში ქალაქი ფართო დახმარებას გაუწევს სოფელს.

ამაზე და კიდევ ბევრ მნიშვნელოვან და საჭირო საქმეზე ლაპარაკობენ საშეფო საზოგადოების წარმომადგენელნი—ჩვენი აგიტპროპები.

სიტყვას საქმე სჯობია და ამ სიტყვების საპასუხოდ ჩვენ გვიჩვენებენ ახლად მოხნულ მიწის შავ ნაკვეთებს.

მივდივართ წინ.. დღეს გეგმის მიხედვით ხშირად არ უნდა შევჩერდეთ — ალბულალამდე სულ ორი მიტინგი უნდა ჩავატაროთ, მაგრამ განა შეიძლება დავკმაყოფილდეთ წინასწარ შემუშავებული პროგრამით, როდესაც პირდაპირ გზაში გვხვდებიან გლეხები და იქვე უნდათ გვესაუბრონ...

ჩვენი „ფიატი“ ისევ ჩამორჩა... უკანასკნელი მოტორი გორაკის იქით მიიმალა... ღამდება... მეცამეტე ვერსზე ალბულალიდან ჩვენი მანქანა ერთბაშად ჩერდება და ოდნავ უკან იხევს. უკანა ღერძი გატყდა. ყველაზე მახლობელ სოფლამდე კი ოთხი ვერსია.

ჩვენი სიგნალები დახმარების აღმოჩენის შესახებ დაწინაურებულ მანქანებამდე ვერ აღწევს. ქარი ჩვენი საყვირის ხმას უკან აბრუნებს, მო-

ტოციკლების მოტორების გუგუნი თანდათან უფრო ყრუდ ისმის და ბოლოს სულ სწყდება. ჩვენ მარტო ვრჩებით მინდორში და ვუცდით კამეჩების მოსაყვანად წასულ შოფერს. ბნელი ღამეა. ცაზე ერთი ვარსკვლავიც არ მოსჩანს.





**ბავშებს უხარიათ, უყურებენ, თუ როგორ სწმენდენ მანქანას. პატარა ვასიკო კი ღრიალებს—არ უნდა „შოფერობა“.**

კამეჩები გვიან მოვიდნენ... სამი უღელი შეება ჩვენს „ფიატში“ და წაათრია იგი მახლობელ სოფლამდე. ავტომობილის პროჟექტორების შუქი გზაზე რაღაც ფანტასტიური ფორმის ჩრდილებს ჰქმნის.

მთელი სოფელი ღრმა ძილშია. მანქანის დატოვება არ შეიძლება. კოკისპირული წვიმისაგან თავის დასაფარავად მივიკუნჭეთ ავტომობილის სველი ბრეზენტის ქვეშ.

ოთხი საათი ვუცდით დახმარებას. წვიმა განუწყვეტლივ გვცემს. როგორც იყო, ალბულაღიდან მოგვეშველა ექვს ადგილიანი „ოპელი“.

ალბულაღში ჩავედით ნაშუაღამევს, როდესაც უკვე აღარ გაისმოდა მისალმების სიტყვები და გადარბენის დაღლილ მონაწილეებს მაგრად ეძინათ საბავშვო სახლში.

ავყევით დაუსრულებელ კიბეს, აქა იქ წყლის გუბეებში ვაბიჯებთ; ჩვენც დასასვენებლად მივდივართ.

საუცხოოდ დავისვენეთ. საბავშო სახლის ხელმძღვანელებს და თვით ბავშებსაც არ დაუშურებიათ თავიანთი ძალღონე, რომ ჩვენთვის კარგი პირობები შეექმნათ დასასვენებლად.

დილა ჩვენს განკარგულებაშია. ჯგუფ-ჯგუფობით ვათვალიერებთ მიასნიკოვის სახელობის სანიმუშო კომუნას, უბნებს... გადარბენის მონაწილე სამხედრო პირები ბავშვებს ასეირნებენ ალბულაღის ტალახიან ქუჩებზე. გახარებული ბავშების ჟრიამული და სიცილი იქაურობას აყრუებს.

ალბულაღში ვტოვებთ მოძრავ კინოს და უკან ვბრუნდებით. მზე კაშკაშებს, ცხელა და მხიარულად მოვქრით ახლად შემშრალ უმტვერო გზაზე.

ყოველ სოფელში გულგაშლილად გვეგებებიან. ვაწყობთ სახელდახელო მიტინგებს ჩვენი გადარბენის მიზნების შესახებ.

გლეხობასთან კავშირი თანდათან უფრო მტკიცე ხდება... ყველგან ქუდების ქნევით გვაცილებენ. ყველგან გვესმის—„უფრო ხშირად ჩამოდით ჩვენთან“.

გადარბენა დამთავრდა... წინასწარი შედეგები უკვე გვაქვს. ხოლო საბოლოო შედეგებს



**გადარბენაში მონაწილე მატოციკლები.**

მავილებთ შემოდგომაზე, როდესაც გლეხები წითელ ქარავნებად დარაზმული თავიანთი ურმებით ახალ პურს მოიტანენ ქალაქის ჩასაბარებელ პუნქტებში.

**სანდრო თბილისელი.**

# ფოშის დასაფლავება

მსოფლიო ომის ერთ-ერთი „გმირის“ და საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტერის ფოშის სიკვდილი მთელი საფრანგეთის პრესისათვის (რასაკვირველია, კომუნისტური გაზეთების გა-



**გენერალი ფოში.**

მოკლებით) გადაიქცა „პატრიოტული“ სპეკულიაციის საგნათ. განსაცვიფრებელია ის ერთსულოვნობა, რომელიც ფოშის შეფასებაში გამოიყინეს ეგრეთ წოდებულმა სოციალისტურმა და უნილაბო რეაქციონურმა გაზეთებმა. ფოში უკვე კარგა ხანია ინვალიდების სასახლეშია დასაფლავებული. ამ გაზეთების ფურცლებიდან კი ჯერაც არ გამქრალა ფოშის ქება-დიდება მზის სინათლეზე გამოაქვთ ათასი წვრილმანი ფოშის ბიოგრაფიიდან (როგორ უყვარდა მას თავისი დედა, როგორი ჩვეულებები ჰქონდა ბავშობის დროს და სხვ.).

ფოშის განდიდების ცდა კურიოზებამდე მიდის. ფოშის სიკვდილის შემდეგ მეორე დღეს დილის ყველა გაზეთები გამოვიდნენ ასეთი ანშლაგით: „მაშ, წავიდეთ!“ და ამ ანშლაგს მიჰყვებოდა შემდეგი ცნობა: „როგორც უშიშარი ჯარის კაცი, ისე შეხვდა ფოში სიკვდილს. იგრძნო რა მისი მოახლოვება, ის წამოდგა სავარძელში და თითქო უნდა შეეგებოსო, წარმოსთქვა თავისი უკანასკნელი სიტყვები: „მაშ, წავიდეთ!“.

იმავე სალამოს გაზეთმა „ტან“-მა გაჰფანტა ეს „მშვენიერი ლეგენდა“. თურმე საქმე რაში ყოფილა: ფოში სავარძელში იჯდა, სანამ მის საწოლს თბილი წყლითა და თერმოსებით გაათბობდნენ. ჯდომით დაღლილმა, მან იკითხა: „გათბა ლოგინი?“,—და როცა მიიღო დადებითი პასუხი, სთქვა: „მაშ, წავიდეთ“-ო. ეს იყო და ეს.

არანაკლებ საინტერესოა ის ჩხუბი, რომელიც ფოშის დასაფლავების გამო გაიმართა. „სოციალისტები“, მოითხოვდნენ, რომ ფოში, როგორც „სამშობლოს ერთგული შვილი“ და „უშიშარი მებრძოლი“, დაესაფლავებიათ ტრიუმფალურ არკის ქვეშ, „უცნობ ჯარისკაცის“ საფლავის გვერდით. ბურჟუაზია წინ აღუდგა მენშევიკების ამ გეგმას.

პუანკარემ ჰპოვა „ბრძნული“ გამოსავალი ამ მდგომარეობიდან: სანამ მარშალს „საბოლოოდ“ დაასაფლავებდნენ, მისი კუბო ორი დღის განმავლობაში დასდგეს ტრიუმფალურ არკასთან. ეს—დათმობა სოციალისტებს, შემდეგ კუბო ორი დღის განმავლობაში ესვენა პარიზის „ღვთის მშობლის“ ტაძარში. ეს—ხუცების გულის მოსაგებათ. ამის შემდეგ ფოში სამხედრო ცერემონიითა და ზეიმით დაკრძალეს ინვალიდთა სასახლეში, როგორც ამას ბურჟუაზიული პრესა მოითხოვდა.

ასეთი იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის პროექტების ავტორის „უკანასკნელი გზა“.

# „მისტერ რობოტ“

გერმანული ჟურნალის „დი ნოიე ველტ“-ის ლონდონელი კორესპონდენტი ასე ასწერს ელექტრონის ადამიანის ახალ გამოცდას:

ამაღლებულ ადგილზე ზის რკინის ფიგურა. მისგან ათი ნაბიჯის მანძილზე კაცი ფრაკში.

— მისტერ რობოტ, გაიღვიძეთ.

მისტერ რობოტი - ელექტრონის ადამიანი, ლონდონელ გამომგონებელის კაპ. რიჩარდის თავისებური კონსტრუქცია, ოდნავ სწევს თავს, ახამხამებს თვალებს, რომლებიც ადამიანის თვალებივით კრთიან, იხედება მარჯვნივ და მარცხნივ, შემდეგ—დგება.

— მიესალმეთ სტუმრებს,—უბრძანებს კაპ. რიჩარდი.

მისტერ რობოტი თითქოს ერთი წუთით რაღაცაზე დაფიქრდაო და შემდეგ ხმამაღლა ამბობს.

— სალამი, ბატონებო. დაბრძანდით.

თვითონ ჯდება სკამზე და ელის გამომგონებლის შემდეგ ბრძანებას, კაპიტანი რიჩარდი ეკითხება რობოტს, თუ რომელი საათია. ჩვენი დროის გომუნუკლუსი (ხელოვნური ადამიანი) იხედება მარჯვნივ, სადაც კედელზე ჰკიდია საათი და იძლევა სრულიად სწორ პასუხს—თერთმეტის 35 წუთი.

ამ ფაქტით გამოწვეული განცვიფრება კიდევ უფრო ძლიერდება, როცა ეს საშუალო საუკუნეების რაინდი დგება და მაგრათართმევს ხელს ყველა იქ მყოფს. ის ამას შვება ძლიერ თავაზიანად. მისი სხეული ამ დროს თითქმის ოდნავ ილუნება, თავს დაბლა ხრის—როგორც „ნამდვილი ჯენტლმენი“. მისტერ რობოტი სდგამს რამდენიმე ნაბიჯს,—ცოტა უჩვეულოა მის სიარული,—და ჩერდება შემდეგი განკარგულებების მოლოდინში.

კაპ. რიჩარდი სთხოვს მისტერ რობოტს მიალაგოს ოთახი: მისტერ რობოტი იმზირება, კუთხეში შენიშნავს მტვერის შესასრუტავ აპარატს, იღებს მას, რამდენჯერმე გაატარებს იატაკზე და ისევ სდებს თავის ადგილას.

— ხომ არ ინებებთ მისტერ რობოტ, რაიმე უამბოთ სტუმრებს თქვენი ცხოვრებიდან?—მიმართავს მას კაპიტანი

— სიამოვნებით.

და მისტერ რობოტი იწყებს თავის ამბავს.

— „ერთ მშვენიერ დღეს ერთ ინგლისელ ინჟენერს აზრად მოუვიდა უსიცოცხლო მანქანების ნაწილებიდან გაეკეთებია რაღაც ადამიანის მსგავსი, მოძრავი არსება. მან აიღო ტყვია, რკინა, ფოლადი და ხანგრძლივ, ენერგიული მუშაობის შემდეგ დააკავშირა ისინი და შექმნილ მანქანას შთაბერა სიცოცხლე. ფიგურას, რომელიც გარეგნულად ჰგავს ადამიანს, შიგნით მოეპოება მეტად რთული კონსტრუქციის განსაკუთრებით მგრძნობიარე აპარატი, რომელსაც მისტერმა რიჩარდმა თავისი „მანქანის სული“ უწოდა. ნუ გაგაკვირვებთ ჩემი ლაპარაკი. სწორედ ჩემი მეტყველების აპარატია ყველაზე მარტივი—ყოველ შემთხვევაში თქვენ, ყველანი, კარგათ ხართ მასთან გაცნობილი. ჩემი ლაპარაკი წარმოადგენს იმის განმეორებას, რაც წინა წარ აღბეჭდილია შუშის შიგნით მოთავსებულ მბრუნავ რგოლებზე, როგორც ეს გრამაფონის ფირფიტაზეა ხოლმე.

მე აგიხსნით თქვენ საიდუმლოებას, თუ როგორ ვუპასუხებ მე კითხვაზე—რომელი საათია. ბატონებო, ჩემს შიგნით მოთავსებულია საათის მექანიზმი, მოხერხებულად შეერთებული ჩემი მეტყველების აპარატთან. მე ვუყურებ საათზე და ვუპასუხებ კი, ასე ვსთქვათ, იმ საათის



ელექტრონის კაცი

მიხედვით, რომელიც ჩემს შიგნით არის მოთავსებული. არ იფიქროთ თითქოს მე არავისთვის არ ვარ საჭირო. ბინაზე, ჩვენს სახლში, მე ვასრულებ მისტერ რიჩარდის მოვალეობას, როცა ის არ არის სახლში, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას ტელეფონით გამოუძახებენ ხოლმე“.

ამ დროს დარბაზში, სადაც ხდებოდა ელექტრონული ადამიანის დემონსტრაცია, გაისმა ზარის წკრიალი. მისტერ რობოტი ადგა სავარძლიდან, მივიდა ტელეფონთან, აიღო მილი და სთქვა!

— ალლო! კაპიტან რიჩარდის ბინაა. კაპიტანი არ არის სახლში. მიბრძანებთ რამე გადავცე?

ტელეფონში ისმის პასუხი

— გადავცემ,—თავის მხრივ უპასუხებს მისტერ რობოტი,—ჰკიდებს მილს და ბრუნდება თავის ადგილზე.

სცენაზე ჩნდება ისევ კაპიტანი რიჩარდი. ის მიდის ელექტრონის ადამიანთან და ეკითხება:

— რა გადმოგცეს შენ ჩემთვის.

— კაპიტანი რიჩარდი დღეს საღამოს 8 საათზე უნდა იყოს „ლიუცუმი თეატრში“.

ავტომატი, რომელიც ერთ დროულად ფონოგრაფსაც წარმოადგენს და გრამაფონსაც, ლაპარაკობს დამშვიდებით, იმ პირის ინტონაციით, რომელმაც ტელეფონით კაპ. რიჩარდი გამოიძახა.

დრო მიდის. ელექტრონის ადამიანი დგება, თავაზიანად უკრავს ყველას თავს და ამბობს:

— მშვიდობით, მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს.

# ოთხი ბავშის დედა



დაბადებულები, ოთხივე სრულიად ნორმალური არიან და მათი ყვირილი „თავზარს“ სცემს მეზობლებს.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია. რედაქციის მისამართი—კამოს ქ. № 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მისტერ ტროცკი უცხოეთში



„დეილი ექსპრესის“ რედაქციაში:

— მხედველობაში იქონიეთ, სერ, რომ ამ ჰონორარის დახარჯვას მე ვაპირებ პოლიტიკურ ბრძოლაზე.

— სასიამოვნოდ მიმაჩნია, მისტერ ტროცკი, რომ ჩვენი ხარჯები ორმაგათ იქნება ანაზღაურებული. („ჩუდაკ“)

## ,,დამაკმაყოფილებელი“ დაწესებულება

— იცი ეს ერთად, ერთი დაწესებულებაა, სადაც განცხადების მიტანისთანავე პასუხს იძლევიან;

— როგორ! ასე მალე პასუხსაც იძლევიან?

— დიახ! გეტყვიან, რომ განცხადებას არ ვღებულობთო!

## ,,უკმაყოფილო“



— შენ ასეთი სამსახური გიშოვია და თავს რათ ანებებ?

— რათ მინდა ასეთი სამსახური, როცა მაქ არც მივლინებები, არც ზედმეტი სამუშაო და არც ჯილდოების გაცემაა, მარტო ჯამაგირი რას მეყოფოდა!

## „მოულოდნელი“ რევიზია

— რა არის, რას ჰკითხულობ?

— სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის წერილია, იწერება:—მოემზადე, ხვალ მოულოდნელად თავს უნდა დაგესხა და რევიზია გაგიკეთოო.

ა. ბ.

## შეშინებული



— ამხ. გამგე! ვიღაც ორი მუშაა და თქვენი ნახვა სურთ!

— უთხარი ზეგ მოვიდნენ:

— კი, მაგრამ „მუშათა ლაშქრობის“ მონაწილეთ გვანან და...

— ჰოო! მაშინ უთხარი შემობრძანდნენ!

## იმედების გაცრუება




გერმანიის საგარეო მინისტრი შტრეზემანი ლოკარნოს ნანგრევებზე.

(„კლადერადაჩ“)

## სტუდენტები

— წუხელ ლექცია მოვისმინე... შემდეგ მთელი ღამე აღარ დამძინებია...

— განა ისე იმოქმედა ლექციამ?

— არა. ლექციის დროს კარგად გამოვიძინე.

ა. ბ.

## ნუგეში გამფლანგველებისათვის



თითეულ გამფლანგველ ქალზე მოდის რამდენიმე გამფლანგველი მამაკაცი.



სამაგიეროდ თითეულ გამფლანგველ მამაკაცზე ზოგჯერ რამდენიმე ქალი მოდის.

(„კროკოდილ“)

## ემიგრანტის დარდი

— რამ დაგაღონა, კაცო, რა იყო?

— მუშათა დელეგაცია წავიდა საბჭოთა კავშირში.

— მერე, მაგაზე რატომ სწუხარ, ისევ მალე დაბრუნდებიან?!

— მეც ეგ მაწუხებს...

ა. ბ.

## ,,დაბალ ხარისხიანი“ კრიტიკა

— ამბობენ შენ კრიტიკის ქარცეცხლში გაგატარესო გუშინ, მართალია?

— ეჰ! რა კრიტიკაა მაგ! მარტო მუშები იყვნენ სხვა კი არავინ!

## ჩვეულების ბრალია



— რას იკაზმები კაცო ამ ფრაკში, განა სად მიხვალ?

— როგორ თუ სად მივალ! ამ საღამოს რადიო კონცერტში გამოვდივარ!

მთავლიტი № 610. ტირაჟი 3650. ³/ტ მე-5-ე სტამბა. გაზ. „კომუნისტის“-ს გამომცემლობა.